# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 6 ივლისი, 2011 წელი.

№125 (6736)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## ახალი ქართული ბომონდის სტინგ(ისტო)ობა ბათუმში

4

„ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატნო?“

## ოქრუაშვილის ვირტუალური სამყარო

2



ანუ რას ფიქრობს ფსბ?

## ლუსტრაციის კანონი – რეპრესიული გზა თუ პოლიტიკური გასამართლების ფორმა?

7

## როდის უდის სოციალურ სამართლიანობას ფულის სუნი?!

6

## ნუთუ პოლიტიკაში მატრიარქატი დამკვიდრდება?!

3

ვითარება

# უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებს

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება



ჩვენი ეკლესიისთვისაც და, საერთოდ, ხალხისთვისაც სრულიად მოულოდნელად საქართველოს პარლამენტმა 1 ივლისს პირველი მოსმენით მიიღო კანონი რამდენიმე რელიგიური ორგანიზაციისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ და მისი მეორე მოსმენა სავარაუდოდ 5 ივლისისთვის იგეგმება.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი და კონსტიტუციური შეთანხმება წლების განმავლობაში იყო ფართო განხილვის საგანი და მას საერთაშორისო ექსპერტიზაც ჩაუტარდა. თავის მხრივ, ეკლესია არასოდეს წასულა წინააღმდეგი და ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოში არსებული სხვა რელიგიებისთვის სტატუსის მინიჭებას და მათი უფლებების განხორციელებას, მაგრამ ამ პროცესს სათანადო გაგრძელება არ მოჰყოლია, ანუ ხელისუფლებას არ შეუქმნია მრავალმხრივი სახელმწიფო კომისია, სადაც საკითხი იქნებოდა შესწავლილი და შეჯერებული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა სახელმწიფოებში არც ქართული მართლმადიდებლური ტაძრების საკუთრების და მოვლა-პატრონობის საკითხი არ დასმულა დღემდე და არც ჩვენი ეკლესიის სტატუსის განხილვა არ დაწყებულა.

ამის ფონზე, სრულიად გაუგებარია ჩვენი ქვეყნის პარლამენტის მიერ ესოდენ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღება საჯარო განხილვის გარეშე და ასეთი დაჩქარებული წესით.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია შეჩერდეს კანონის მიღების პროცედურა (მეორე და მესამე მოსმენა) და აღნიშნულ საკითხზე გაიმართოს საჯარო დებატები (თუნდაც ტელევიზიის პირდაპირ ეთერში), რათა ჩამოყალიბდეს საერთო-საზოგადოებრივი აზრი და მოხდეს კონსენსუსი მართლმადიდებელ ეკლესიასთანაც, რადგან ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია.

ჩვენს მოქალაქეებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ეს საკითხი არის უმნიშვნელოვანესი, რადგან იგი არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებს.

## გამოხმაურება-მისალმება...

სომხური სამოციქულო ეკლესიის ქართული ეპარქიის ხელმძღვანელი, ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი მიესალმა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოში სომხური ეკლესიისთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, იუწყება სომხური საინფორმაციო სააგენტო news.am

**„მივესალმებით საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას. ასეთი მიდგომა დემოკრატიული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. როგორც ცნობილია, იურიდიული სტატუსი ჩვენ გარდა კიდევ რამდენიმე რელიგიურ უმცირესობას მიენიჭა“,** – განაცხადა მირზახანიანმა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში მცხოვრები სომხები ცოტა ხანში იმ სომხური ეკლესიების მართვის უფლებასაც მიიღებენ, რომლებიც ამჟამად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეკუთვნის.

## ...და მცირე სარედაქციო კომენტარი

**რა უხარია ეპისკოპოს მირზახანიანს?**

არა, რაც უხარია და რასაც მიესალმება, გვითხრა კიდეც, მაგრამ ნუთუ ის არ უფერმკრთალებს სიხარულს, მისი ისტორიული სამშობლო – სომხეთი – არადემოკრატიული ქვეყანა რომ ყოფილა?

საიდან დავასკვენით ეს? თავად არ ბრძანა, საქართველოს პარლამენტის ეს გადაწყვეტილება საქმისადმი დემოკრატიული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მიდგომააო?

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კი თავის განცხადებაში ხაზგასმით ბრძანა: **„უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა სახელმწიფოებში არც ქართული მართლმადიდებლური ტაძრების საკუთრების და მოვლა-პატრონობის საკითხი არ დასმულა დღემდე და არც ჩვენი ეკლესიის სტატუსის განხილვა არ დაწყებულა“.**

ამ **„სხვა სახელმწიფოებში“** ხომ სომხეთიც იგულისხმება უთუოდ და არცთუ ბოლო რიგში?

იმედია, ეს **„უმნიშვნელოვანესი საკითხი“,** რომელიც, როგორც მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ხაზგასმით აღნიშნა, **„არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებს“,** ქვეყნისა და მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესების შესატყვისად გადაწყდება!

სხვაგვარად, ყოველგვარი კონსულტაცია-შეთანხმების გარეშე, ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება ქვეყანაში, სადაც **„მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია“,** ყოვლად დაუშვებელია!

**შეხვედრა**

# დავივიწყოთ წყენა, ერთმანეთს გავუწოდოთ ხელი!



**„ღირსების საკითხია, რომ აფხაზეთის ომის ვეტერანებს უფლებათა დაცვაში დავეხმაროთ. ისინი მოკლებული არიან ყოველგვარ სოციალურ შეღავათებსა თუ დახმარებებს. 20 წლის წინათ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს ადამიანები საკუთარ ქვეყანაში ისევ დევნილებად რჩებიან. მათი საცხოვრებელი პირობების, სოციალური დახმარების, ჯანდაცვის, განათლების, საკუთრების უფლების დაცვას მთავრობა არ უზრუნველყოფს. ამიტომ საჭიროა, დავიწყოთ ერთობლივი ორგანიზებული მუშაობა, ცალ-ცალკე ვერაფერს გავხდებით“,** — განაცხადა პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ კინოს სახლში შეკრებილ აფხაზეთის ომის ვეტერანებთან შეხვედრისას.

მან ასევე ისაუბრა აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენის აუცილებლობაზე.

**„მართალია, რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ მას დავუპირისპირდეთ. აფხაზებმა კარგად დაინახეს გენოციდის საფრთხე. მოლაპარაკების დასაწყებად საჭიროა აფხაზების თავიდან გაცნობა, რადგან ომმა გაგვაუცხოვა ერთმანეთთან. ჩვენ ქვეყანაში მათთვის მიმზიდველი გარემო უნდა შევქმნათ. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის კი გერმანია უნდა გამოვიყენოთ. ეს ის ქვეყანაა, რომელთანაც ერთად მოვახერხებთ შეთანხმების მიღწევას რუსეთთან“.**

შეხვედრა კინოს სახლში კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. ირაკლი ალასანიას წინადადებას — დავივიწყოთ წარსული და ერთმანეთს გავუწოდოთ ხელი, შეიქმნას საბჭო, რომელიც ყველა თაობის დევნილს გააერთიანებს და ჩვენთან ერთად იბრძოლებს ვეტერანთა უფლებების დაცვისთვის — შეკრებილები მოწონებით შეხვდნენ.

**გულნაზ გახარია**

**ინფორმაცია**

## საპატრიარქოში უარის შემდეგ სომხებმა კალანდაძეს მიაკითხეს

**საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე ადასტურებს, რომ სომხეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ედუარდ ნალბანდიანის ვიზიტის დროს საქართველოში სომხური ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.**

— თქვენ იცით, რომ ნალბანდიანის ვიზიტის წინ საქართველოში სომხეთის პატრიარქი იმყოფებოდა. შესაბამისად, სომხეთის სს მინისტრის ვიზიტის დროს სომხური ეკლესიის სტატუსის საკითხსაც შეეხო საუბარი, მით უმეტეს, რომ უკვე დიდი ხანია ჩვენი ბევრი მეზობელი სახელმწიფო, რომელთაც რელიგიურ სტატუსთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ, საქართველოში აღნიშნულ საკითხებს აყენებს, — აღნიშნავს კალანდაძე.

მისივე თქმით, შეხვედრაზე განხილული იქნა თეორიული შანსი, როგორ შეუძლია ქართულ მხარეს დაეხმაროს მათ რელიგიურ სტატუსთან დაკავშირებული პრობლემატიკის მოგვარებაში. ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება საკანონმდებლო ორგანოში რელიგიური მიმდინარეობებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირების სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვას.

## უერთდებიან „ქართული პარტიის“ მიმართვას

**„ქართული პარტიის“ მიმართვას, რომელიც აყენებს პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაკავებისა და წამების შეწყვეტის საკითხს, კიდევ რამდენიმე სუბიექტმა მოაწერა ხელი.**

პარტიის ინფორმაციით, მიმართვას შეუერთდა პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველო“ (თავმჯდომარე ვახტანგ ვახანიძე), პარტია „თავისუფალი საქართველო“ (თავმჯდომარე კახა კუკავა), „თეთრი მოძრაობა — თეთრები“ (თავმჯდომარე თემურ შაშიაშვილი), სამოქალაქო კოალიცია „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ (თავმჯდომარე ეკა ბესელია) და საზოგადოებრივი მოძრაობა „სამოქალაქო ფრონტი“ (თავმჯდომარე ჯაბა ჯიშკარიანი). მიმართვას ინდივიდუალურად შეუერთდნენ ლევან გაჩეჩილაძე, კოკა გუნცაძე, კახა მიქაია, ლევან ჩიკვაიძე და გოგა ხაინდრავა. ამჟამად „ქართული პარტიის“ მიმართვაზე უკვე არსებობს 16 პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციის და 5 ინდივიდუალური ხელმოწერა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ვინ ვინ არის?**

# ოქროუაშვილის ვირტუალური სამყარო



## ანუ რას ფიქრობს ფსბ?

**იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკურად გაბახებულ ირაკლი ოქრუაშვილს რეალურ ცხოვრებაში ე.წ. მრისხანების დღე, სისხლისღვრა „მინიმალური დანაკარგებით“, ალღუმის ჩაბარება (პარტიის „ფულის ტომარა“ მხედრიონელ კოტე გოგელიასთან ერთად) და რევოლუცია არ გამოუვიდა, ეს ხელს არ უშლის, რომ ამჯერად ვირტუალური პოლიტიკით „დასაქმდეს“.**

„არც ვიცი, რა გითხრათ, ახლა ისე ვარ, დანა რომ დამარტყან, წვეთი სისხლი არ წამომივა“, — ეს სიტყვები ირაკლი ოქრუაშვილის მიმართვიდანაა მას შემდეგ, რაც დაპირებული „ტრიუმფით“ სამშობლოში დაბრუნება, რომელიც მეორენაირად, „მინიმალური დანაკარგებით“, სისხლისღვრასა და შეიარაღებული ფორმირებების დახმარებით სახელმწიფო გადატრიალებას გულისხმობდა, ვერ შეძლო.

თუ მაშინ დანის დარტყმის შემთხვევაშიც კი წვეთი სისხლი არ წამოუვიდოდა და იგივე დანა პირს არ უხსნიდა, „ქართული პარტიის“ მარტოშთენილ ვირტუალურ შეფს, ახლა სისხლი მომდევნო „გმირობის“ ჩასადენად უჩქეფს და დანაც არ დასჭირდება, ისე დააღებს პირს. ეს ამ კვირას „ფეისბუქში“ მოხდება.

„ქართული პარტიის“ უსახურმა ლიდერმა გადაწყვიტა, საზოგადოებას ამჯერად სოციალური ქსელიდან შეახსენოს თავი. იგი სახალხოკრებელებს მიბაძავს და „facebook“-ზე ონლაინ პრესკონფერენციას გამართავს. ონლაინკონფერენციის თარიღს ამ დრომდე არ ახმაურებენ, თუმცა, ცნობილია, რომ მოქალაქეთა შეკითხვებს ირაკლი ოქრუაშვილი მიმდინარე კვირაში უპასუხებს.

რატომ გადაწყვიტა ირაკლი ოქრუაშვილმა საზოგადოებას ამჯერად ვირტუალური სივრციდან შეახსენოს თავი, უცნობია.

პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელიც ონლაინკონფერენციას უკავშირდება, ნათქვამია, რომ ყოფილი ძალოვანი მინისტრი საზოგადოებაში დაგროვილ შეკითხვებს გულწრფელად უპასუხებს. თუმცა, გულისხმობს თუ არა, ეს „გულწრფელობა“ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარება-მონანიებას, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რადგან ოქრუაშვილის პირით, ახლა, შესაძლოა, რუსული ფსბ საუბრობს... ასე რომ, თუ გსურთ გაიგოთ, რას ფიქრობს ფსბ, მაშინ მოუსმინეთ ირაკლი ოქრუაშვილს...

„ქართულ პარტიაში“ კი ამტკიცებენ, რომ საზოგადოებას ბევრი კითხვა აქვს ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ (ამაში ნამდვილად ვერ შევედავებით). მათ, ალბათ, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს ეს კითხვები ბევრჯერ სმენიათ, მაგრამ „პრესა.ჯი“ მაინც შეახსენებს რამდენიმე აქტუალურ საკითხს, რომლებთან დაკავშირებითაც, სავარაუდოდ, ირაკლი ოქრუაშვილს შეკითხვებს დაუსვამენ:

მაგალითად, ინტერესი დიდია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ „აერია“ გზა ოქრუაშვილს და რატომ ჩავიდა საქართველოს ნაცვლად მოსკოვში?

რატომ აპირებდა ოს და რუს შეიარაღებულ ბანდიტებთან ერთად ცხინვალიდან წამოსულიყო თბილისისკენ?

რატომ ვერ შედგა ე.წ. მრისხანების დღე და რატომ ვერ გადაკეტა ონკანი?

რატომ დაეშალა პარტია?

რატომ ერჩის აშშ-ს და არა ოკუპანტ რუსეთს?

რატომ აირჩია მაინცდამაინც „ზილი“ და არა, მაგალითად „კრაზი“, „ბელაზი“...?

ირაკლი ოქრუაშვილს ამ და სხვა, არცთუ სახარბიელო კითხვებზე მოუწევს პასუხების გაცემა, რომელთაც სოციალურ ქსელში საქართველოს მოქალაქეები დასვამენ.

თუმცა, პასუხი მთავარ კითხვაზე — ვინ არის ირაკლი ოქრუაშვილი — უკვე ცნობილია — წარსული...

**შორენა გოგოლაძე**
**Presage.tv**

**განათლება**

# პედაგოგების სასერტიფიკაციო გამოცდები დაიწყო

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ, სამინისტროს მოსწავლეთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა და სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილმა პედაგოგთა სასერტიფიკატო გამოცდების დაწყებასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართეს.**

6 ივლისს პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები დაიწყო. წლეულს სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ტრენერებმა პროფესიულ უნარებსა და საგნობრივ ნაწილში ტრენინგებისა და სემინარების სახით 30 ათასამდე პედაგოგი გადაუმზადეს. გამოცდებში მონაწილეობისთვის პედაგოგთა უპრეცედენტო რაოდენობა — 24 ათასი დარეგისტრირდა.

2011 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდები 6 ივლისს დაიწყება და 21-ში დასრულდება. წლეულს პროფესიულ უნარებთან ერთად საგნობრივ ნაწილს ცამეტი საგნის პედაგოგები ჩააბარებენ: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა, ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული, სამოქალაქო თავდაცვის და დაწყებითი კლასები. თითოეული მათგანი ერთ გამოცდას პროფესიულ უნარებში ჩააბარებს, მეორეს კი — საკუთარ სპეციალობაში.



სასერტიფიკატო გამოცდებისათვის გადამზადებასთან ერთად სემინარებიც ჩატარდება, რომლებიც მასწავლებელთა მოთხოვნის საფუძველზე დაინიშნა. სემინარების განმავლობაში მასწავლებლებმა გამოცდებთან დაკავშირებულ ყველა საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე მიიღეს პასუხი და განმარტებები.

სერტიფიცირებული მასწავლებელი დამატებით 75 ლარს იღებს, მათ 200 ლარამდე გაეზრდებათ ხელფასი, თუკი კომპიუტერსა და ინგლისურ ენას ჩააბარებენ, ხოლო სერტიფიცირებული მასწავლებლების პირველი, საუკეთესო მაჩვენებლების მქონე 25-პროცენტი, რომელთაც კომპიუტერიც და ინგლისური ენაც ჩააბარეს, 1000-ლარიან ფიქსირებულ ხელფასს მიიღებენ.

სერტიფიცირებულ მასწავლებლებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ სამინისტროს მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროგრამაში, რაც, ასევე, დამატებით ანაზღაურებას გულისხმობს.

**ირინა ობოლაშვილი**

**ვაჭრობა**

# უცხოელები ჩვენთან შეძენილ საქონელზე დღგ-ს არ გადაიხდიან

**შემოსავლების** სამსახურის ინიციატივით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში შეძენილ საქონელზე დღგ-ის თანხა დაუბრუნდებათ. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ეს ინიციატივა, ერთი მხრივ, ვაჭრობის განვითარებას შეუწყობს ხელს, მეორე მხრივ, კი საქართველოში ჩამოსული უცხოელი მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი დანაზოგი იქნება. დღგ საქართველოში 18 პროცენტია. დასაბრუნებელ დღგ-ის თანხას გამოაკლდება ბანკის მიერ გაწეული მომსახურების საკომისიო, თანხის 3 პროცენტი.

დღგ-ის თანხის დაბრუნება საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთამდე ხდება. უცხო ქვეყნის მოქალაქე მაღაზიაში საქონლის ყიდვისას გამოწერილ სპეციალურ ქვითარს წარუდგენს შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ პირს, რომელიც ქვითრის უნიკალური ნომრის მიხედვით შეამოწმებს მონაცემების სისწორეს ელექტრონულ სისტემაში.

საქონელი უნდა იყოს შეძენილი იმ მაღაზიაში, რომელსაც აქვს დღგ-ის თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითრის გაცემის უფლება. სავაჭრო ობიექტებს ქვითრის გაცემის უფლებას შემოსავლების სამსახური ანიჭებს.

დღგ-ის თანხის დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება საქონელზე და არა მომსახურებაზე.

დღგ-ის თანხის დაბრუნებას არ ექვემდებარება მალფუჭებადი საქონელი, სატრანსპორტო საშუალება, ოქრო (რომლის მასაც აღემატება 125 გრამს და რომელიც არ არის წარმოდგენილი სამკაულის (ნაკეთობის) სახით), ძვირფასი ქვები, საქონელი, რომლის გატანა საჭიროებს სპეციალურ ნებართვას ან ლიცენზიას, საქართველოს კანონმდებლობით დღგ-საგან გათავისუფლებული საქონელი;

საქონელი უნდა იყოს მოთავსებული სპეციალურ დალუქულ პაკეტში. საქონელი ქვეყნიდან უნდა გავიდეს ყიდვიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

ანგარიში

**სხვა უამრავ მოთხოვნას შორის, ევროკავშირის რეკომენდაცია პოლიტიკაში გენდერული ბალანსის დამკვიდრებას ითვალისწინებს, რომელიც საერთო ევროპული ოჯახისთვის დღესაც დიდი პრობლემაა. რა თქმა უნდა, ამ სტანდარტის მხრივ აშკარად მოიკოჭლებს საქართველო, თუმცა ვინაიდან ამ თემას თბილისში ორდღიანი კონფერენცია მიეძღვნა, სავარაუდოა, რომ გენდერულ საკითხებზე ზრუნვას, ალბათ, დაიწყებენ(!). მაგრამ თუკი უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ამ მხრივ ცვლილება თითქმის არ ყოფილა, საინტერესოა, კიდევ რამდენი წელიწადი დაგვჭირდება პოლიტიკაში გენდერული ბალანსის აღსადგენად?**

# ნუთუ პოლიტიკაში მატრიარქატი დამკვიდრდება?!

## კიდევ რამდენი წელიწადი დასჭირდება გენდერული ბალანსის აღდგენას?

თამარ მეფის ქვეყანაში, სადაც ქალის, დედის სადღეგრძელო მოწიწებით ითქმება ხოლმე, აღმოჩნდა, რომ პოლიტიკურ, საჯარო და საერთაშორისო წარმომადგენლობებში ქალთა მონაწილეობა ძალიან ნაკლებია. ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის მონაცემებით, **პარლამენტარ ქალთა რაოდენობით საქართველო აშკარად ჩამორჩება როგორც მსოფლიო მაჩვენებელს – 19,2 პროცენტი, ისე რეგიონულ მაჩვენებელს, მათ შორის არაბული ქვეყნების მაჩვენებელსაც კი, რომელიც 11,7 პროცენტია. 2008 წლის არჩევნების შემდეგ ქართველ პარლამენტარ ქალთა რიცხვი 6,5 პროცენტს შეადგენს. უკანასკნელი წლების მანძილზე რეკორდული მაჩვენებელი 2004 წლის არჩეულ პარლამენტში იყო, ისიც მხოლოდ 9,4 პროცენტი.**

საქართველოს მთავრობაში 19 მინისტრს შორის მხოლოდ სამი ქალია, ხოლო სამხარეო დონეზე სახელმწიფო მმართველობებს ახორციელებენ სახელმწიფო რწმუნებულები, მათ შორის არც ერთი არ არის ქალი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში მხოლოდ ერთი მინისტრია ქალი, იგივე ხდება აფხაზეთის მთავრობაშიც. 2010 წლის არჩევნების შედეგად ქალთა წარმომადგენლობამ ადგილობრივ თვითმმართველობებში 10 პროცენტი შეადგინა – 1688 დეპუტატიდან მხოლოდ – 169 ქალია.

თვალშისაცემია ქალების აქტიური მონაწილეობა სასამართლო ხელისუფლებაში, სადაც ისინი 48 პროცენტს შეადგენენ. ასეთი მაღალი მაჩვენებელი იმით არის ახსნილი, რომ მოსამართლეთა შერჩევა საკვალიფიკაციო გამოცდებისა და ღია შესარჩევი კონკურსის საშუალებით ხდება, რაც თანაბარ სასტარტო პირობებში აყენებს ორივე სქესის წარმომადგენლებს. **სამაგიეროდ, საგანგაშოა ქალების რიცხვი საერთაშორისო წარმომადგენლობებში: საქართველოს ელჩებს შორის 45-დან 5 ქალია, საერთაშორისო ორგანიზაციებში მუდმივი წარმომადგენლებიდან არც ერთი არ არის ქალი, საქართველოს ხუთი გენერალური საკონსულოდან არც ერთის ხელმძღვანელი არ არის მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. საქართველოს 6 საპატიო კონსული ჰყავს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი ქალი...**

რატომ? – უპირველესი პასუხი არის მენტალურ პრობლემებში, რომელთაც პოლიტიკოსი მამაკაცები იჩენენ ხოლმე. საზოგადოება ზოგადად ამ მიმართულებით საკმაოდ პროგრესულად აზროვნებს, მაგრამ პატრიარქატს პოლიტიკაში მაინც ძალუმად აქვს ფესვები გადგმული. არადა, როცა ქართულ პოლიტიკაში ქალები აქტიურობით გამოირჩეოდნენ, წარმატებებიც თითქმის ყოველთვის გარდაუვალი იყო. თუმცა მხოლოდ მენტალური კუთხით ამის ახსნა, ალბათ, არ იქნებოდა მართებული. მაგალითად, ახალი მემარჯვენე **ფიქრია ჩიხრაძე** ამბობს, რომ თავად ქალებიც პასიურობით გამოირჩევიან, რასაც ხელს უწყობს ქვეყანაში გამეფებული დიქტატურა. – **„არჩევნების დროს წარმატებულ ქალბატონებს შევთავაზეთ რაიონული მუშაობა და პარტიული ორგანიზაციის თავმჯდომარეობა. ბევრმა უარი განაცხადა, ბევრიც დაგვეთანხმა, ოღონდ გვითხრა, ფარულად დაგეხმარებითო. ოპოზიციურ სპექტრთან ურთიერთობა არათუ ქალებისთვის, არამედ ზოგადად ყველასთვის ძნელია. რადგან თუკი მუშაობს, ის კარგავს შემოსავალს, ხოლო თუ უმუშევარია, კიდევ უფრო მეტ უპერსპექტივობას უჩენს საკუთარ თავს“.** – აღნიშნა ჩიხრაძემ. ამან ძალიან შეაშფოთა უცხოელი ქალბატონები, რომლებიც გენდერული ბალანსის შესახებ გამართულ კონფერენციას ესწრებოდნენ: **„მაშინ, როგორღა შეიძლება იყო ოპოზიციაში, თუკი ყველაფერი სასწორზე უნდა დადო? ასე დემოკრატიას ვერ ააშენებთ. ქალს გავლენის მოხდენა უნდა შეეძლოს. პირიქით, უნდა იმოძრაონ და დაარწმუნონ პოლიტიკოსები თავიანთ უნარიანობაში“,** – აღნიშნა ერთ-ერთმა.



ასე თუ ისე, არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის პაქტი თუ ხელშეკრულება თანასწორუფლებიანობის აღდგენას ითხოვს. სულ მცირე 40 პროცენტი მაინც ქალებს უნდა ერგოთ პოლიტიკურ სარბიელზე, ხოლო ის პარტიები, რომლებიც გენდერულ ბალანსზე ააგებენ შიდა პარტიულ სისტემას, ფინანსურად წახალისებულნი იქნებიან და მეტ დაფინანსებას მიიღებენ. მართალია, ზოგიერთი ქალბატონი ამით შეურაცხყოფილიც კი დარჩა – ჩვენ იძულებით და მოქრთამვით კი არა, ნებაყოფლობით უნდა ჩაგვრთონ პოლიტიკაშიო, მაგრამ ვინაიდან ეს ადვილი მისაღწევი არ არის, კვლავ ფინანსურ ანგარიშსწორებაზე შეთანხმდნენ. ახლახან, 2010 წელს მიღებულ რეკომენდაციაში სახელწოდებით „ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა პოლიტიკაში საარჩევნო სისტემის მეშვეობით“, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს წევრ ქვეყნებს კვოტების შემოღებით გაზარდონ ქალთა წარმომადგენლობა. რიგმა ქვეყნებმა: ბელგიამ, ბოსნიამ და ჰერცეგოვინამ, საფრანგეთმა, სომხეთმა, მაკედონიამ, პორტუგალიამ, ესპანეთმა, ალბანეთმა... უკვე შემოიღეს სავალდებულო სამართლებრივი კვოტები ეროვნული პარლამენტისთვის, რომელიც 20-50 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. მაგალითად, ბელგიაში ორი უმაღლესი თანამდებობა არ უნდა დაკომპლექტდეს ერთი და იმავე სქესის კანდიდატით. ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს რეკომენდაცია ეძლევათ, რათა მიიღონ სავალდებულო კვოტები, რაც უზრუნველყოფს მდედრობითი სქესის კანდიდატთა მაღალ რაოდენობას. ასევე მითითებულია, რომ არჩევნებში ქალთა მონაწილეობის მხარდასაჭერად, სახელმწიფომ შესაძლებელია იზრუნოს ბავშვთა უფასო მოვლაზე, ან სხვა მსგავს ღონისძიებებზე, ფინანსური მექანიზმები აამოქმედოს და ასე დაუჭიროს მხარი ოჯახური ვალდებულებების მქონე კანდიდატებს. ამგვარი ალტერნატიული დახმარების არატრადიციული ფორმები შეიძლება საჭირო გახდეს, რათა ქალებს პოლიტიკურ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის სურვილი გაუჩნდეთ...

**მსგავსი რამის მოთხოვნები უკვე არაერთ ანგარიშსა თუ რეკომენდაციაშია თავმოყრილი უკანასკნელი წლების განმავლობაში, თუმცა ევროპისთვისაც და ზოგადად მსოფლიოსთვის პოლიტიკაში ქალთა მცირე რაოდენობა მაინც კრიტიკულ საკითხად რჩება. მით უმეტეს, საქართველოში, რომელიც მეზობელ სომხეთსაც კი ჩამორჩება გენდერული ბალანსის თვალსაზრისით.**

ნია ფიფია

ხედვა გარედან

# FREEDOM HOUSE: გარემოებები, რომლებმაც „არაბული გაზაფხული“ გამოიწვია, ყოფილ საბჭოთა კავშირშიც არსებობს

***Freedom House-ის შეფასებით, „გარემოებები, რომელმაც „არაბული გაზაფხული“ გამოიწვია, ყოფილ საბჭოთა კავშირშიც არსებობს“.***

***ამის შესახებ Freedom House-ის პრეზიდენტი დევიდ კრამერი და კვლევითი მიმართულების დირექტორი კრისტოფერ ვოლკერი წერენ სტატიაში „ტირანიის ფორპოსტი“ , რომელსაც „Foreign Policy“ აქვეყნებს.***

***სტატიის ავტორების აზრით, „აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი მართალი იყო, როდესაც განაცხადა, „სახელმწიფოს მართვის ძველი მეთოდები მიუღებელია, დროა, ლიდერები მართვას პასუხისმგებლობით მოეკიდონ, საკუთარ ხალხს ღირსეულად მოეპყრან და მათ ეკონომიკური შესაძლებლობები გადასცენ, ხოლო თუკი ამას არ გააკეთებენ, ეს ნიშნავს, რომ მათი წასვლის დროაო“.***

**„ეს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მიერ საჰარას სამხრეთით მოღვაწე აფრიკელი დიქტატორების მისამართით მკაცრი გაფრთხილება იყო იმ ცვლილებებზე მინიშნებით, რომელმაც ახლო აღმოსავლეთი მოიცვა. მაგრამ კლინთონის შენიშვნები კიდევ უფრო სერიოზულ ელფერს იძენს, როდესაც საქმე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ეხება, სადაც ისევე, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ღრმად ფესვგადგმულ ავტორიტარულ მმართველთა კრიტიკული მასა ჩამოყალიბდა. 12 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან 9 (ბალტიისპირეთის გამოკლებით) ავტორიტარული რეჟიმების სიაში მოხვდა. ასეთია ყოფილ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიის განვითარებაზე Freedom House-ის ყოველწლიური კვლევის ავტორთა დასკვნა. ანგარიშში სახელწოდებით „ქვეყნები გარდამავალ ეტაპზე“, ჩანს, რომ ამ რეგიონის მოსახლეობის 80% ავტორიტარიზმის უღელქვეშაა. ყოფილი საბჭოთა დიქტატორების ხანგრძლივმა მმართველობამ მთელი რიგი სერიოზული პრობლემები შექმნა.**

**ჯერ ერთი, ამ სისტემებში არ არის მექანიზმი, რომელიც ხელისუფლების მშვიდობიან როტაციას უზრუნველყოფს იმის მიუხედავად, რომ კარგად დადგმული არჩევნები ტარდება. ხელისუფლების გადაცემის პრობლემები გადაუჭრელია უზბეკეთსა და ყაზახეთში. არადა, ამ ქვეყნის მმართველთა ასაკი 70 წელზე მეტია. მაგრამ კიდევ უფრო სერიოზული პრობლემა ის არის, რომ რეგიონის ქვეყნების უმრავლესობაში ხელისუფლებაში შედარებით ახალგაზრდა ავტორიტარები არიან. აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი სულ 49 წლისაა, ხოლო ბელორუსი ლუკაშენკო – 56 წლის, ტაჯიკეთის მმართველი ემომალი რაჰმონი – 58-ის, ისევე, როგორც რუსეთის უმაღლესი ფაქტობრივი ლიდერი ვლადიმერ პუტინი. ასეთი სიტუაცია სასოწარკვეთილ მოქალაქეებს მომდევნო უამრავი წლის განმავლობაში პოლიტიკური უძრაობის პერსპექტივას უქადის“,** – მიიჩნევენ Freedom House-ის მკვლევარები.

მათივე აზრით, მეორე პრობლემა ისაა, რომ **„ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ბევრი მთავრობა ზომიერ პოლიტიკურ ძალებს სივრცეს არ უტოვებს და ასეთმა მარგინალიზაციამ საზოგადოება შეიძლება, ხელისუფლების ოპონენტების მხრიდან ექსტრემისტული ქმედებების მანკიერ წრეში მოაქციოს“.**

ავტორები თვლიან, რომ ეს ტენდენცია პოსტსაბჭოთა სივრცის უდიდეს ნაწილში არსებობს, მაგრამ განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული რუსეთსა და უზბეკეთში.

**„რაც უფრო ხანგრძლივად არსებობს სერიოზული რეფორმების მოლოდინი, მით უფრო რთული და ჩახლართული ხდება რეფორმირების პრობლემები, რადგან ავტორიტარული მმართველობის მეთოდებს მომაკვდინებელი გავლენა აქვს. ამ დროს შემდეგი დაბრკოლებები წარმოიქმნება: მასშტაბური ეკონომიკური ინტერესებისა და სულ უფრო ძლიერი პოლიტიკური ძალაუფლებით აღჭურვილი უშიშროების თავდაჯერებული ძალები, სასამართლო სისტემა, რომელსაც დამოუკიდებლობასა და პროფესიონალიზმზე ძალიან სუსტი წარმოდგენა აქვს, ასევე იმ ნიჭიერი ადამიანების მუდმივი დევნა, რომლებიც სხვა გარემოებებში კომპეტენტურ პოლიტიკოსებად, ტექნოკრატებად ან მეწარმეებად ჩამოყალიბებას შეძლებდნენ. მიუხედავად ამისა, არც ერთი ეს ავტორიტარული რეჟიმი ნამდვილი რეფორმების განხორციელების ნებას არ ავლენს. ამის ნაცვლად იქ ქანჩის მოჭერის მოკლევადიანი სტრატეგიაა გაბატონებული“,** – წერენ Freedom House-ის მკვლევარები.

მათივე აზრით, **„საეჭვოა, პოსტსაბჭოთა სივრცეში ავტორიტარული რეჟიმების დამხობა უახლოესი მომავლის გარდაუვალ პერსპექტივად იქცეს, თუმცა აბსოლუტურად ცხადია, რომ ყველა მათგანს ის სერიოზული პრობლემები აქვს, რასაც წელს არაბული აჯანყებები მოჰყვა“.**

**„ასეა თუ ისე, ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა, რომლებსაც დღეს დიქტატორები მართავენ, თავიანთი მრავალრიცხოვანი პრობლემების გადაწყვეტა უნდა დაიწყონ, სხვა შემთხვევაში ეს პრობლემები მათ დაანგრევს. ამიტომ ტრანსატლანტიკური დემოკრატიები აშკარად დაინტერესებულნი არიან იმით, რომ ამ ქვეყნებში რეფორმები ადრე განხორციელდეს. მშვიდობიანი და მდგრადი ტრანსფორმაცია ბევრად უფრო შესაძლებელია იქ, სადაც ამ თემაზე ხელისუფლებას, ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის მოლაპარაკებების გამართვა შეიძლება, ვიდრე იქ, სადაც კრიზისი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ხალხის მასა ქუჩაში გადის“,** – ნათქვამია სტატიაში.

ნინო ჩიჩუა.

Presage.tv

ესეც ასე!

# ახალი ქართული ბომონდის სტინგ(იცო)ობა ბათუმში

## ანუ კიდევ ერთხელ იმაზე, თუ რატომ უნდა მივხედოთ ჩვენს თავს ჩვენვე

„უმაღლესი“ არისტოკრატიული ბურჟუაზიული საზოგადოება“. ზუსტად ასე განმარტავს უცხო სიტყვათა ლექსიკონი სიტყვა „ბომონდს“. „ზუსტად“-მეთქი, იმად ვამბობ, რომ წინწკლებიც იმ განმარტებაშია ნახმარი, ანუ კომუნისტების დროინდელ ლექსიკონში შეგნებულად იყო სიტყვა უმაღლესი წინწკლებში ჩასმული, რაც, საოცრად ესადაგება იმ ხალხსაც, ვინც მოიაზრება, ან კიდევ უფრო უარესი, თავად მოიაზრებს თავის თავს თანამედროვე ქართულ ბომონდში.

თავად განსაჯეთ: ნუგზარ წიკლაური, ნიკა გილაური, ხათუნა კალმახელიძე და ა. შ....





ანუ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, რომელთა შესახებ საუბარი წინწკლების გარეშე შეუძლებელი მგონია, რადგანაც საყოველთაოდ არის ცნობილი მათი ოდიოზურობა და, აქედან გამომდინარე, მათდამი ხალხის „სიყვარული და პატივისცემაც“.

თუმცა ეს ცალკე, სულ სხვა განხილვის საგანია. ამიტომ ახლა მთავარზე ვთქვათ.

მთავარი კი ის იყო, რომ სტინგ(იცა)ძის „ჩამობრძანება“ იმავე პროპაგანდას ემსახურებოდა, როგორსაც მანამდე ტოტო კუტუნიოს, შერონ სტოუნისა და სხვა მათი მსგავსი, მსოფლიოში უკვე „ჩამოწერილი“, უკეთეს შემთხვევაში, სამუზეუმო ექსპონატებისა.

ჯერ იყო და, როგორც სჩვევია, ყველა პროტოკოლის უგულებელყოფით, ვითარცა ტოლი-ტოლს, ისე შეეგება ჩვენი პრეზიდენტი პირველი ლედითურთ ვიღაც ტინგიცა-სტინგ(იცაძს და ერთი ძილა(???ძ ხიზილალაც უფეშქეშა, მერე კი მთელი ნაცხელისუფლება ატინგიცდა დიდი ხნის წინათ მიმქრალი ვარსკვლავის კონცერტზე.

არ ვიცი, ხიზილალას გამო თუ საგანგებოდ კიდევ გადაუხადეს, ბატონ სტინგ(იცაძს ისეთი რამ დაუხეთქებია წასვლისას, მიშას გამობრძმედილ პიარშიკებსაც კი შეშურდებოდათ და რაც „რუსთავი-2“-მა გვამცნო ოპერატიულად:

თურმე ნუ იტყვით და, ბათუმიდან ასტანაში უნდა წასულიყო ჩვენი „მაღალი სტუმარი“, მაგრამ ადამიანის უფლებათა დამცველებს სტინგ(იცასძისთვის უთქვამთ, ყაზახეთში ადამიანის უფლებებს უხეშად არღვევს ნურსულთან ნაზარბაევი და შენისთანა დემოკრატ მომღერალს არ ეკადრება ყაზახეთში ჩასვლაო და სტინგსაც, პროტესტის ნიშნად, უარი უთქვამს ასტანაში ჩასვლაზე.

**ეს კი, სხვანაირად იმას ნიშნავს, რომ იქ, სადაც იმღერა, ანუ საქართველო, დემოკრატიის ერთადერთი ოაზისია მთელს პოსტსაბჭოთა, ტოტალიტარულ სივრცეში.**

ყველაფერ ადრეულს თავიც რომ დავანებოთ, მაგ ჩვენი ცოდვით და ნაცების წყალობით სავსე სტინგ(იცაძს 26 მაისის სასტიკი კადრები მაინც არ უნახავს, სანამ აქ ჩამობრძანდებოდა? ხოლო თუ ნახა, დაიჯერო, ეგონა, რომ რასაც უყურებდა, ყველაფერი რუსთაველზე კი არა, ასტანა-ალმაატის მთავარ მოედანზე ხდებოდა, დაუნდობელი ჩვენებური სპეცრაზმელები კი ყაზახეთის აქლემებზე ამხედრებული სპეცნაზი ეგონა?

ვიცი, ჩემო მკითხველო, რომ მსგავსი კითხვების დასმაც კი (არათუ მათზე პასუხის ლოდინიძ, რბილად რომ ვთქვათ, მიამიტობაა, რადგან საქმე გაცილებით მარტივადაა – სტინგ(იცაძის ბათუმური ტინგიცობაც იმისი დასტურია, თუ როგორ უჭერს დასავლეთი მხარს პირადად სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს და არა ქართველ ხალხს!

ამჯერად სტინგის ენით გვითხრა ჩვენმა „მეგობარმა“ დასავლეთმა, რომ „ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე“, საქართველო კი ამჟამადაც ყველას ფეხებზე ჰკიდია...

ამიტომაც ჩვენს თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ!

**დავით მხეიძე**

განსჯა

# „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატნო?“

**მახსოვს, როგორ არა, ანდაზა – ზოგს რომ მღვდელი მოსწონს და ზოგსაც – ფოფოდია; ასევე მახსოვს ხალხის სიჭრელის შესანიშნავად გამომხატველი მოდელი, სოფელ-სოფელ მოგზაურ მოლა-ნასრედინთან, იმის შვილიშვილსა და სახედართან დაკავშირებული: ოთხი შესაძლო ვარიანტიდან (ვირით მოჩაქჩაქე მოლა, ქვეითი შვილიშვილი; მოჩაქჩაქე ბიჭუნა, ქვეითი მოლა; პაპა და შვილიშვილი – ორივე ამხედრებული და ბოლოს – ორივე ქვეითი) ოთხ სოფელში შემხედვარეებმა ოთხივე გააკრიტიკეს – გაამასხრეს, ოთხი სხვადასხვა „ლოგიკით“...**

ამგვარი სიჭრელე საკაცობრიოა, მარადიულია და, რა თქმა უნდა, ჩვენს ხალხსაც ახასიათებს, ქართველ საზოგადოებასაც; კი ბატონო, მოწონება, „ვასება“ სუბიექტურია და ვისაც მოსწონს, ვისაც „ევასება“ ამჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი ბრმად მორჩილი ხელისუფლება, როგორ დაუშლი; ბოლოს და ბოლოს, დრო იყო, ჰიტლერსაც ჰყავდა უამრავი თაყვანისმცემელი... ოღონდ ხომ არსებობს – უნდა არსებობდეს – საღი განსჯა, ობიექტურობის გრძნობა და ამათ რა ვუყოთ... რა ვუყოთ სააკაშვილის, როგორც ქვეყნის პირველი პირის მაკომპრომეტირებელ ამდენ ფაქტს, სააკაშვილისა, რომელმაც საქართველო **საკართველოდ** გაიხად-გადაიქცია და შესაბამისი სააქაო – **სააკაოდ?**.

პირადად მე ყველაზე უფრო ჩვენი ინტელიგენციის რამდენიმე წარმომადგენლის პოზიცია მაოცებს და ამჯერად ხელოვანებზე ლაპარაკის ნებას ვაძლევ თავს.

ოთარ კობერიძეთი დავიწყებ, არაერთი ჰეროიკული როლი რომ აქვს ნათამაშევი გინდ ეკრანზე, გინდ – სცენაზე, იმათ რიცხვში ბაში-აჩუკისაც; ჰოდა, ერთ დროს ეგზომ პოპულარულმა მსახიობმა ვაჟკაცობის ფასი სხვაზე მეტად რატომ არ უნდა იცოდეს; ლაჩრობის, დედლობის მგმობელი რატომ არ უნდა იყოს! გორის ბებერ მიწაზე, შორეულ წინაპართა მიერ სამშობლოსთვის დაღვრილი სისხლით მორწყულ მიწაზე მიხეილ სააკაშვილის სამარცხვინო ხოხვისა და ჩადენილი „ქრესტომათიული“ სიმხდალის მერე იმისი მეხოტბე რატომ უნდა დარჩენილიყო! ასე წინდაუხედავად კოდორის ხეობისა და ახალგორის „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტის“ დამკარგავის მეხოტბედ! ერთი ჰკითხოს სპეციალისტებს ოთარ-ბატონმა, იცის თუ არა საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ სახელმწიფოს მეთაურის მსგავსი, მომიტევოს მკითხველმა ეს სიტყვა, ჩასვრის მაგალითი? არადა, „გორულთან“ ერთად სხვა შეცოდებაც რომ მრავლად აქვს პრეზიდენტს?..

კარგი, მეხოტბე მეხოტბედ, მაგრამ ნონა გაფრინდაშვილი და კიდევ არაერთი ღირსეული პიროვნება რომ „სარჩობელაზედ“ გაგზავნა ჩვენმა „ბაში-აჩუკმა“, ამას რაღა ჰქვია – ულირსებისადმი გაუგებარი მიკერძოება, ანგარიშმიუცემელი ფანატიზმი თუ უბრალოდ, ბერიკაცური სიშტერე? მეც მათქმევინოს ბატონმა ოთარმა, გავცვლი თუ არა ერთსა ნონას ათასსა მიხეილზედა...

ახლა ქალბატონ ცისანას მოვუსმინოთ, ტატიშვილს, სახელგანსმენილ საოპერო მომღერალს, როგორი „არია“ უმღერა 26 მაისს მომხდარ ამბებს: **„არ იყო საჭირო ხალხის გარეთ გამოსვლა, მით უმეტეს, აღლუმის წინ... პოლიცია ასრულებს იმას, რასაც ასრულებენ პოლიციელები სხვა ქვეყნებში ასეთი არეულობის დროს – თუ ხალხი მსგავს წინააღმდეგობას უწევს, პოლიცია კიდევ უარესს აკეთებს... აღლუმიც უნდა გამართულიყო, რატომ უნდა ეთქვა მთავრობას უარი, იმიტომ, რომ ოპოზიციას არ უნდოდა“?**

თქვენი არ ვიცი, პატივცემულნო, მე კი ასეთ „სოლოს“ ტაშს ვერ დავუკრავ...

პანტომიმის თეატრის ხელმძღვანელია ამირან შალიკაშვილი, მაგრამ დახეთ, რა ხმამაღალი „;რეჩი“ დაურტყამს: **„რა დროს მიტინგებია, რა დროს გამოსვლებია, როგორც იქნა, დალაგდა საქართველოში სიტუაცია(?),** გალამაზდა ქუჩები, რაღაც კეთდება (ახლანდელ საქვეყნო სიტუაციას თუ დალაგებული ეთქმის, დაულაგებელი რაღაა ნეტავი, „ვიკითხე აქ მე“ – **ბ. ბ.**ძ... **მიტინგი უნდა დაშლილიყო ისე, როგორც დაიშალა და როცა ამას ვამბობ, მაპატიონ იმ ადამიანებმა, ვინც დაშავდა, თანავუგრძნობ იმათ ოჯახებს, ვინც გარდაიცვალა** (ძალიან მეეჭვება, ბატონო ამირან, რომ თქვენ, მიტინგის ისე დაშლის მომწონებელს გაპატიონ ან თქვენგან თანაგრძნობა მიიღონ... – **ბ. ბ.**ძ... **რამდენადაც ვიცი, ხალხს „დერეფანიც გაუხსნეს, რომ გაეღწიათ იქიდან, იმათ არ ისურვეს** (რამდენადაც კი არა, ნამდვილად არ გცოდნიათ: ხალხს დერეფანი გაუხსნეს კი არა, ურღვევი ალყა შემოარტყეს ვანო მერაბიშვილის ძალოვნებმა; იქვე 9 აპრილს რომ იხსენებთ, რატომ გავიწყდებათ, რომ დერეფნის დაუტოვებლობა მაშინ იგორ როდიონოვსაც არ უკადრია, რუს გენერალს? – **ბ. ბ.**ძ.

ახლა რეზო ჭეიშვილი. ცნობილი მწერალი? – აგერ მე და აგერ მისი კალამი: **„ისეთი არაფერი მომხდარა, ადამიანები კი გარდაიცვალნენ, მაგრამ მიზეზი რა არის? ჭკუა რომ არ გეყოფა... აგვისტოს ომზე გადაღებული ფილმის ნაწილიც ვნახე. ძალიან კარგია... ეს ფილმი იმათ მოეწონათ, ვის გემოვნებასაც ვენდობი“...**



ეჰ, ბატონო რეზო, ბატონო რეზო! ადამიანების გარდაცვალება არაფერია? სამარცხვინოდ წაგებულ ომზე გადაღებული, მილიონობით დოლარის შეტენით გამზადებული ფილმი რომ მოეწონათ, იმათ გემოვნებას ენდობი შენი კალმის პატრონი, შენი კინოსცენარების ავტორი?.. შენც, ბრუტუს?..

მართლაც რომ სულ „დახურა“ ელდარ სახლთხუციშვილმა (ასეთი მსახიობიც ყოფილაძ: „სააკაშვილი ჭკვიანი კაცია, მართლა მაგარია“...

არსად დაგეკარგოთ, ბატონო ელდარ, ასეთი ჭკვიანი და მაგარი კაცი – პრეზიდენტი, ძვალ-რბილში რომ გქონიათ გამჯდარი იმისი ჭკუა და სიმაგრე...

ამგვარი გამომივიდა „პრომიშური“ ინტელიგენციის ნაწილზე „ლაპარაკი“ და შემინდეთ, თუ ნამეტანი გავკადნიერდი...

წერილის სათაურს რაც შეეხება, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მაქსიმ გორკის ერთ დროს (საბჭოურ დროს!ძ გახმაურებულ სტატიას ერქვა ასე და იმას დავესესხე. გამოტანილი შეკითხვის პასუხი ძნელი გასაცემი არ უნდა იყოს...

**ბერდია ბედოიძე**

წკეპლიკა

# გურჯაანს ქარბორბალამ გადაუარა...

წლეულს სტიქია განსაკუთრებით შემოგვიწყრა და გვიტევს და გვიტევს, რაც ძალა აქვს და ღონე; მე შენ გეტყვი და, არა აქვს! ეს წვიმაო, ეს სეტყვაო, ქარიშხალი, ქარბორბალა, წყალდიდობა, მეწყერი... ახლახან სურამულა, უწყინარი, მორცხვი მდინარე რომ გეგონება, სულ გაგიჟდა და კალაპოტის მიმდებარე სურამსა და ხაშურს ნამდვილი უბედურებად დაატყდა. ღმერთმა უწყის, როდის მოწესრიგდება, როდის გამოიხედავს თვალში ამდენი სახლის აოხრებული პირველი სართული თუ ეზო-ბაღი...

სულ ახლახან კი ქარბორბალამ გადაუარა თურმე გურჯაანს, განსაკუთრებით კი იმის ორ სოფელს და მიაყენა კიდევაც გვარიანი ზარალი. თქვენც დაკვირვებიხართ, ალბათ, რა ოპერატიულად შეიქმნება ხოლმე ზარალის დამდგენი და დამთვლელი კომისია ყველა სტიქიური შემოტევის ადგილზე და ოპერატიულადვე გამოგვიცხადებენ ხოლმე ამის თაობაზე ტელეეკრანიდან; ოღონდ მაგარი ისაა, რომ მერე პირში იმ მოვარდნილ წყალს იგუბებენ, თუ რა არის – აღარც დადგენილ-დათვლილი ზარალის შესახებ იტყობინებიან, აღარც იმას, თუ რა გაკეთდა ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად... თუმცა არა, ამას წინათ, ახმეტის რაიონში დატრიალებული „ავბუნებობის“ ჟამს, აკი ამოღერღეს – ხელისუფლებამ 600 ათასი ლარი გამოიყოო; ოღონდ იმავე ჟამის მახლობლად იმავე ხელისუფლებამ, უფრო ზუსტად კი ერთმა, მაგრამ უმაღლესმა ხელისუფალმა რომ უტრუსობის მოყვარული ერთი ამერიკელი კინოვარსკვლავის ჩამოსაყვანად თურმე 5 მილიონი დოლარი „გამოყო“, ეს დაგვიმალეს; არადა, ამ ორი ციფრისთვის რომ „მოკლე როქი“ გაეკეთებინათ, ანუ 5 მილიონი დოლარი სტიქიისაგან დაზარალებული რეგიონებისათვის გადაედოთ და 600 ათასი ლარი (ან ჯანდაბას, დოლარიძ უკვე ჭკნობაშეპარული შერონ სტოუნისათვის – ღმერთი გაწყრებოდა?..

ასეა თუ ისე, რაკი სტიქიისაგან მიყენებული ზარალის დამთვლელი კომისიების შექმნასა და თვით დათვლაში ამოდენა გამოცდილება დაგვიგროვდა, მოდი და ის ზარალიც დავათვლევინოთ, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტს საზღვარგარეთ ასე ხშირ-ხშირად და უსარგებლოდ მივლენილი ჩვენი დიდკაცები (და „დიდქალები“ძ!ძ იყენებენ, ან უცხოეთიდან მოვლენილი (თუ გამოწერილი...ძ ნაირ-ნაირი ჯურის „ვარსკვლავები“, „ლეგენდები“, დადგენილი თუ დაუდგენელი გენიები, ბოტები და სტინგები...

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, „სტიქიურის“ გამომხატველი ციფრი სირცხვილისაგან გაწითლდება...

**რამაზ გორგაძე**

ინფორმაცია

## სეტყვამ რამდენიმე ასეული ოჯახი დააზარალა

**სამცხე-ჯავახეთში** მოულოდნელად მოსულმა სეტყვამ 9 სოფელი და რამდენიმე ასეული ოჯახი დააზარალა. სეტყვას, რომლის მსგავსიც ადგილობრივ მოსახლეობას არ ახსოვს, კოკისპირული წვიმაც მოჰყვა.

განადგურებულია ნათესები, დაზიანდა გზები.

ახალციხე-აბასთუმნის ცენტრალურ მაგისტრალზე ძლიერმა წვიმამ მიწა ჩამოიტანა და ტერიტორია გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბლოკირებული იყო.

რაიონში სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელიც ზარალის ოდენობას დაადგენს.

ჯი-ეიჩ-ენი

პოზიცია

# უპირველესი ამოცანაა არა ხელისუფლების შეცვლა, არამედ მისი დამბალანსებელი სრულფასოვანი ალტერნატივის არსებობა

„ინტერპრესნიუსი" ფილოსოფოსს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრა



**— ბატონო ზაზა, „მემარჯვენეებისა" და ქდმ-ს მიერ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხელისუფლების წინადადებების მიღებამ, ამავე შეთანხმებაზე ედგეს, „ჩვენ თვითონისა" და სხვათა მიერთებამ საზოგადოებაში საკმაოდ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თქვენ როგორ შეაფასებდით მომხდარს და იმ პოლიტიკურ რეალობას, რომელიც ამ მოვლენათა განვითარების შემდეგ ქვეყანაში ჩამოყალიბდა?..**

— „ახლების" ნაბიჯი გარკვეული პოლიტიკური ლოგიკის ნიშნებს ატარებს. თუმცა, ლოგიკა ნაკლოვანიც შეიძლება იყოს. ვფიქრობ, ერთი მხრივ, ეს იყო მცდელობა, ინიციატივა ხელთ აეღოთ მაშინ, როდესაც 26 მაისის მოვლენების შემდეგ „რვიანის" ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები ჩიხში იყო შესული. „რვიანს", როგორც თემატურ ერთიანობას, უჭირდა მოლაპარაკებათა იმ ფორმების მოძებნა, ახალი გარემოებების ადეკვატური რომ იქნებოდა. გარდა ამისა, პირადად მე შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მასში შესული სუბიექტები უკვე ერთმანეთის პარალიზებას ახდენდნენ და ამასთან იყო დაკავშირებული ის საყვედური უნებრიობასა და ბრძოლის უუნარობის შესახებ, რომელიც მათ მიმართ გაისმოდა. „ახლებისა" და ქდმ-ს ნაბიჯმა აშკარად გააჩინა ინტრიგა, თუმცა კი, თავად მილიონისა და პარლამენტის შემადგენლობაზე მომატებულ 40 ადგილის თემის გამო თავად საკმაოდ რთულ კონტექსტში აღმოჩნდნენ.

პირველ რიგში, ამ გარემოებამ გამოააშკარავა რომ, თურმე „რვიანის" სტრატეგიის მიმართ ინტერესი, მიუხედავად საყვედურებისა და ეჭვისა, საკმაოდ დიდი ყოფილა. გარდა ამისა, სიტუაციამ „რვიანის" დარჩენილი სუბიექტებიც აიძულა, ახალი ენერგია მოეკრიბათ. ყველა შემთხვევაში, 26 მაისის შემდეგ ჩიხში შესულ პროცესებს, ნებსით თუ უნებლიეთ, ახალი იმპულსი მიეცა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაიზარდა საზოგადოების დაწოლა ახლანდელ „ექვსიანზე".

სრულიად აშკარაა, რომ ულტიმატუმის ის ფორმა, რომლითაც ხელისუფლებამ თავისი წინადადებები წარუდგინა ოპოზიციას, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ ამ მცირე დათმობებზე წასვლაც არ უნდოდა. ხოლო აბსურდული განაცხადი, ვინც ამ წინადადებებს არ დათანხმდებოდა, მილიონს ვერ მიიღებდა, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ხელისუფლებამ პოლიტიკურ კორუფციაში ბრალდება გაუმზადა ყველას, ვინც კი მასთან დიალოგზე წავიდოდა. პოლიტიკაში არ არის შემთხვევითი ამგვარი წამონაცდენები. ამიტომაც გამოიწვია ასეთი რეაქცია ახლებისა და ქდმ-ს მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა. „მემარჯვენეებსა" და ქდმ-ს საკმაოდ ბევრი მუშაობა მოუწევთ, რათა დაგვარწმუნონ, რომ მათ გადაწყვეტილებას სერიოზული გამართლება ჰქონდა. ცხადია, არსებული ჩიხის მდგომარეობაში მათ შეინარჩუნეს ცვლილებათა რაღაც ნიშნული, მაგრამ რამდენად ღირდა ეს და რა შედეგები ექნება ამას თავად მათთვის, ჯერ კიდევ საფიქრალია.

მოკლედ თუ ვიტყვი, მიუხედავად იმ მოტივებისა, რომლებიც ახლებსა და ქდმ-ს ამოძრავებდათ, მათ პოზიტიურ პროცესებს შეუწყვეს ხელი. თავად ამ მოტივების გამო მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ არც ერთი და არც მეორე პოლიტიკური ძალა არ ტოვებს შთაბეჭდილებას, ბოლომდე დასჯერდნენ ხელისუფლების სატელიტების მდგომარეობას. ალბათ, იმედი აქვთ, რომ მაქსიმალურად გამოიყენებენ იმ რესურსებს, რომელთაც ხელისუფლებასთან ურთიერთობა აძლევს. თანაც, არც თავად სახელისუფლებო პარტიაა ერთგვაროვანი და ორივე პოლიტიკური ძალა შეიძლება შიდასახელისუფლო პროცესების კონტექსტში ჩართულები ვიხილოთ. ასეა თუ ისე, ამ მოვლენამ, ვფიქრობ, ქართული პოლიტიკური რელიეფის მნიშვნელოვან ცვლილებებს დაუდო სათავე.

**— საარჩევნო კანონმდებლობის მცოდნე ექსპერტთა უმრავლესობის შეფასებით, მმართველმა გუნდმა ოპოზიციურ პარტიებს უკანონო და დისკრიმინაციული წინადადებები შესთავაზა. 2003 წელს ჩატარებული რეფერენდუმის კანონიერებასა და არაკანონიერებაზე საუბარმა ვითარება აშკარად კიდევ უფრო დაამძიმა... რამდენად საფუძვლიანია „რესპუბლიკელი"დავით ბერძენიშვილის შეფასება იმის თაობაზე, რომ ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ხელისუფლების პირობები მიიღეს, პრაქტიკულად დათანხმდნენ, რომ მომავალ პარლამენტში „ნაცმოძრაობას" კვლავ საკონსტიტუციო უმრავლესობა ეყოლება?**

— აჯობებდა, ამ კითხვაზე იმ ადამიანს ეპასუხა, ვისაც საარჩევნო კანონმდებლობის მეტი ცოდნა და საარჩევნო პროცესების მეტი გამოცდილება აქვს. რაც შეეხება 2003 წლის რეფერენდუმის კანონიერებასა და უკანონობაზე საუბარს: აქ სხვას ვერაფერს იფიქრებ ადამიანი — ჩვენ ავტორიტარიზმის ვულგარულ ფორმას, ხელისუფლებისა თუ მისი გარემოცვის მხრიდან კანონის მიმართ ვოლუნტარისტულ დამოკიდებულებას ვუცქერთ. ასეთ განცხადებას არ უნდა აკეთებდნენ საკუთარი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ პასუხიმგებლობის მქონე პირები. მოცემული მომენტის პოლიტიკურმა ინტერესებმა არ უნდა გვათქმევინოს ან გაგვაკეთებინოს ისეთი რამ, რაც სამართლებრივი ნიჰილიზმისა და რელატივიზმის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

თუ ის რეფერენდუმი უკანონო იყო, მაშინ ამის გამო პასუხისმგებლები არიან ის ადამიანები, ვინც იგი ჩაატარა და შემდეგ მისი შედეგების მიხედვით აცხოვრა ქვეყანა. ახლა ისიც დავუმატოთ, როგორ პირდებოდნენ ხელისუფლების წინადადებებზე ხელისმომწერებს ერთ მილიონს და ვიღებთ ისეთ პორტრეტს, რომელიც ბევრ აღწერას აღარც საჭიროებს. ძნელია, ასე დაარწმუნონ დასავლელი პარტნიორები იმაში, რომ ისინი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და, ზოგადად, დემოკრატიული განვითარების გზით მიდიან.

**— განცხადებები კი გაკეთდა, მაგრამ თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა, რომ „ექვსიანი"ერთიან პოლიტიკურ ბლოკად და სერიოზულ პოლიტიკურ ავანგარდად ან ხელისუფლების პოლიტიკურ ალტერნატივად ჩამოყალიბდეს? და კიდევ, თქვენი აზრით, რამდენად შეძლებს „ექვსიანი" საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად ფართომასშტაბიანი მოძრაობის გაშლას და სერიოზული შედეგის მიღწევას?**

— ბევრი სხვა ადამიანისა არ იყოს, მეც იმედით ველოდები, რას მოიმოქმედებს დარჩენილი ექვსეული და შეძლებს თუ არა, სოლიდურ პოლიტიკურ ალტერნატივად ჩამოყალიბდეს. მისი ბევრი სუბიექტი ძალზე გამოცდილიც არის და საკმაოდ პრინციპულიც. უკვე ორი ათეული წელია, ჩვენი პოლიტიკური პანორამა უმთავრესად კალეიდოსკოპის პრინციპით იცვლება. იცვლება ფორმები, მაგრამ ეს ახალი ფორმები ისევ ძველი კენჭებით იქმნება, რაც ნიშნავს, რომ ბევრი არაფერი იცვლება. იგივენი რჩებიან ადამიანებიც და პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებიც.

პოლიტიკური მიზანშეწონილობისა და პრინციპების ნაცვლად, ამ კალეიდოსკოპის მამოძრავებელი ძალა ხშირად კულუარული ინტრიგები და მითქმა-მოთქმაა. რეალური ცვლილებებისთვის, საიმისოდ, რომ პოლიტიკური ცხოვრების ახალ პარადიგმებს დაედოს სათავე და რეალური ცვლილებების მიმართულებით წავიდეთ, ეს მანკიერი წრე უნდა დაიძლიოს. იგი არანაკლებ შემაფერხებელია ჩვენი განვითარებისთვის, ვიდრე — ყბადაღებული სამიტინგო-რევოლუციური მეთოდი. დარწმუნებული ვარ, საამისოდ სიტუაცია საკმაოდ არის მომწიფებული. გარდა ამისა, დასაძლევია კიდევ ერთი რამ: ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ჰერმეტულობა. დიალოგის სივრცე არ არსებობს არა მხოლოდ ხელისუფლებასა და მოსახლეობას, არამედ ოპოზიციასა და მოსახლეობას შორის. ოპოზიციის დიდი ნაწილი დგინდება არა იმდენად საკუთარ მოსახლეობასთან, არამედ, უპირატესად, ერთმანეთთან ან დასავლელ პარტნიორებთან მიმართებაში.

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ უკვე წლებია, ჩვენი პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი ჩვენს ადამიანურ გარემოს ხშირად განიხილავს, მხოლოდ როგორც უპიროვნო პოსტსაბჭოთა აგრეგატს, რომელიც უნდა აღზარდოს ან რომელიც პოლიტიკური სანახაობებითა და ემოციური ზემოქმედებით უნდა დააჯგუფოს მისთვის ხელსაყრელი იდეებისა თუ პიროვნებების ირგვლივ. თუ ეს პოლიტიკური პრაგმატიზმის აზრით გამართლებული იყო ათი-თხუთმეტი წლის წინ, დღეს ასე აღარ არის. უსახო აგრეგატის ნაცვლად დღეს საქმე გვაქვს იმ ადამიანთა ერთობლიობასთან, რომელმაც განვლილი ოცი წლის განმავლობაში ძალზე დიდი გამოცდილება შეიძინა, თუნდაც ამ გამოცდილებას სიტყვიერად ჯერ ვერ გამოხატავდეს. მასთან ურთიერთობა დღეს გაცილებით ძნელია, ვიდრე ეს ამ რამდენიმე წლის წინათ იყო. იგი ჩვენგან განსხვავებულ პოლიტიკურ ენასა და ქცევის წესს მოითხოვს. მოკლედ რომ ვთქვა, ახალი კონფიგურაცია ადამიანური გარემოს მიმართ ახალ დამოკიდებულებასაც მოითხოვს. და კიდევ ერთი: თუ გონებას თან ნება, თუ გნებავთ, ჭირვეული და აგრესიული ნება არ ახლავს, იგი უძლურია.

ყველაფერი ეს იმიტომ ვთქვი, რომ იმ სიძნელეთა ნაწილი მაინც ალმეწერა, ჩემი აზრით, პოლიტიკური ალტერნატივის ჩამოყალიბებას და მის ხელში ოპოზიციური საკადრო, პოლიტიკური, ელექტორალური თუ სხვა რესურსების თავმოყრას რომ უშლიდა და ჯერაც შეუშლის ხელს. ამგვარი ალტერნატივის გარეშე ჩვენი პოსტრევოლუციური ლოგიკით „გამართლებული" რბილი ავტორიტარიზმი თანდათან კლასიკურ ავტორიტარიზმად იქცევა. მილიონთან თუ რეფერენდუმთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები, მიტინგებთან და მანიფესტაციებთან დაკავშირებული ახალი კანონმდებლობა თუ იოლი სალტომორტალეები ლიბერალიზმსა და ფუნდამენტალიზმს შორის იმის ნიშანია, რომ ხელისუფლება რეალურ ოპონენტს ვერ გრძნობს და ნაკლებად გვცემს პატივს, როგორც გონიერ და ზნეობრივ არსებებს. ასე თუ გაგრძელდა, არც ისე შორს არის დრო, როდესაც ჩვენ ძალოვანთა კუნთებით გამყარებული გროტესკული ავტორიტარიზმი გვეყოლება.

ისევ „ექვსიანს" დავუბრუნდები. იმედი მაქვს, ახალი ბლოკი, გაერთიანება თუ ალიანსი რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტის ხელოვნურ აგრეგატად აღარ დარჩება. ხელოვნური გაერთიანება წინა პლანზე წამოსწევს მრავალი ლიდერის თემას, ასეთები კი, ძნელი საწინასწარმეტყველებელი არ არის, ერთმანეთის ბლოკირებასა და პარალიზებას მოახდენენ. გაერთიანება ორგანული, ბუნებრივი და ამით მოქნილი უნდა იყოს. შიდაპარტიული დემოკრატია არ ნიშნავს მოუქნელობას და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში კულუარული მოვლენების გადაჭარბებულ როლს. არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც მხოლოდ ზოგადად შევეხები: ახალი გაერთიანების ყველა სუბიექტი ორგანულად უნდა გამოიყურებოდეს მასში. ადრე თუ გვიან, ამ ფაქტორმაც შეიძლება წამოყოს თავი.

ჯერ პროცესები წინაა და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. დარწმუნებული ვარ, პროცესები თავად ექვსეულის შიგნითაც მიმდინარეობს და, ალბათ, გარკვეულ სიურპრიზებსაც უნდა ველოდეთ. სიტყვამ მოიტანა და უზარმაზარი ინტელექტუალური და პოლიტიკური რესურსია სამოქალაქო საზოგადოებაშიც, რომლის დიდი ნაწილიც, პოლიტიკური სპექტრის არ იყოს, დღეს უპირატესად ერთმანეთთან და უცხოელ დონორებთან მიმართებაში დგინდება და მათი გემოვნების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული.

**— თქვენი აზრით, საქართველოში არის კი ისეთი ოპოზიცია, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლა და ძალაუფლების ხელში აღება სურს?**

— ამ კითხვას ნაწილობრივ ალბათ უკვე გავეცი პასუხი. სურვილი შეიძლება ბევრს ჰქონდეს. საქართველოში ასეთები არ გამოილევიან. ოპოზიციური რესურსების თავმოყრა კი ჯერაც ვერავინ მოახერხა. პოლიტიკა ძალაუფლების ნების გარეშე არ არსებობს. ეს ნება გონებისა და ზნეობის კანონებში უნდა იყოს მოქცეული. ეს უკვე ჩვენი საქმეა — რიგითი ადამიანებისა, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვ. ჩვენგან უნდა გრძნობდნენ პოლიტიკოსები ინტელექტუალურ და ზნეობრივ ოპონენციას და ამით უნდა ვაწონასწორებდეთ მათ ძალაუფლების ნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ იმას მივიღებთ, რასაც აქამდე ვიღებდით.

შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ მაინც ვიტყვი: დღეს ჩვენთვის უპირველესი ამოცანაა არა ხელისუფლების შეცვლა, არამედ მისი დამბალანსებელი სრულფასოვანი ალტერნატივის არსებობა. ჩვენთან დამყარდა მანკიერი ტრადიცია, როდესაც ხელისუფლება შთანთქავს მთელს საკადრო და სხვა რესურსებს და რეალური ოპონენტის გარეშე რჩება. ამ ვითარებას კი ბუნებრივად მივყავართ რევოლუციის იდეამდე. ვფიქრობ, ჩვენი მიზანია, როგორმე ეს წრეც გავარღვიოთ და ხელისუფლების ერთი სერიოზული ალტერნატივა მაინც შევქმნათ.

**კობა ბენდელიანი**

ინფორმაცია

## ნიკორწმინდის ტაძარში ახალი ფრესკები გამოვლინდა

**სპეციალისტები შეაფასებენ ნიკორწმინდის ტაძარში მიმდინარე სარეაბილიტაციო პროექტის მნიშვნელობას.**

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის ერთობლივი დაფინანსებით ნიკორწმინდის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასკვნით ეტაპზე დღემდე უცნობი ფრესკები გამოვლინდა. ექსპერტების ცნობით მხატვრობა XVI საუკუნით თარიღდება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ახლად აღმოჩენილი მხატვრობის კონსერვაციას მიმდინარე წელს დაგეგმილ სამუშაოებთან ერთად, გადაუდებლად განახორციელებს.**

**ნიკორწმინდის ტაძრის სრული რეაბილიტაცია, რამდენიმეწლიანი სამუშაოების შემდეგ წელს დასრულდება. პროექტის პირველ ეტაპზე ძეგლის არქიტექტურის გამაგრებისა და ძეგლის გადახურვის შემდეგ, ამჯერად კედლის მხატვრობის რესტავრატორები ნიკორწმინდის განადგურებული ფრესკების კონსერვაციის ურთულეს პროექტს ახორციელებენ.**

**კედლის მხატვრობის კონსერვაციის პარალელურად მიმდინარეობს ტაძრის წყლის გადამყვანი სისტემებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობა.**

ჯი-ეიჩ-ენი



განსჯა

# როდის უდის სოციალურ სამართლიანობას ფულის სუნი?!

**pecunia non olet (ლათ. — ფულს სუნი არ უდის).** ვესპასიანე, რომის იმპერატორი, პირველი საუკუნე. **დენი გამორთე — ნაგავი იწერება!** თბილისური ფოლკლორი, ოცდამეერთე საუკუნე

**გადასახადები ადამიანთა ორგანიზებული და ცივილიზებული ცხოვრების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტი და აუცილებელი პირობაა. ამ მხრივ კაცობრიობის მთელი ისტორია, შეიძლება ითქვას, გადასახადების შემოღებისა და მათი ამოღების ისტორიაა. თუმცა საუკუნეთა განმავლობაში მავანთა (მმართველი ძალების, ხელისუფლების) ხელში ისინი ძალაუფლების განმტკიცების, დამატებითი შემოსავლის მიღების წყაროს, ინსტრუმენტსა და პირადი ამბიციების დაკმაყოფილების, სურვილების აღსრულების საშუალებას უფრო წარმოადგენდნენ. გადასახადებს, რომელთაც ჯერ კიდევ თომა აქვინელი *ძარცვის ნებადართულ ფორმად* მიიჩნევდა, უკავშირდება სოციალური დემაგოგია და საზოგადოების, თანამედროვე სლენგი რომ ვიხმაროთ, „დაბოლება“. — ხელისუფლება, ძველი რომი იქნებოდა ეს, შუასაუკუნეობრივი აბსოლუტიზმის დროინდელი ევროპა თუ სულაც კომუნიზმის მშენებელი ქვეყნები, ყოველთვის არწმუნებდა გადასახადების გადამხდელს, რომ ყოველივე ეს უკანასკნელთა *უსაფრთხოების, კეთილდღეობისა* და *ბედნიერებისთვის* კეთდებოდა.**

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს მცდელობა უხვად გაზავდა *საზოგადოებრივი აუცილებლობისა* და *სოციალური სამართლიანობის* იდეებით. „ტრადიციული“ სახის გადასახადებს (საშემოსავლო, ქონების და ა.შ.) რომ თავი დავანებოთ, ცივილიზაციის ისტორიას ახსოვს მრავალი ისეთი „ეგზოტიკური“ გადასახადი, რომლებიც ამჟამინდელი გადასახედიდან გაკვირვებას და დიდსულოვან შემწყნარებლურ ღიმილს თუღა იწვევს, თუმცა თავის დროზე მათ გადამხდელ სუბიექტებს სახუმაროდ ნამდვილად არ ჰქონდათ საქმე. ასე მაგალითად, ინგლისში შუა საუკუნეებში მოქმედებდა **გადასახადი სიმხდალეზე, ლაჩრობაზე.** ისტორიას ახსოვს **გადასახადები შლიაპებზე** (დიდი ბრიტანეთი, 1784-1811 წლები), **წვერის ტარებაზე** (რუსეთი, პეტრე პირველის დროს), **გადასახადი თავისუფლებაზე** (ძველი რომი), **სიცოცხლეზე** (ინგლისი, მეთერთმეტე საუკუნე), **ფანჯრებზე** (ინგლისი, შოტლანდია), **მარილზე** (მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში) და ა.შ. ეს ჩვენ, ჩვენი თანამემამულე, ჩვენს თვალწინ დაფრთიანებული და დემაგოგიაში განაფული პოლიტიკოსებისაგან გვიკვირს დასუფთავების გადასახადის *დენის ხარჯვასთან მიბმის* ***სოციალურ სამართლიანობად*** გასაღების ფაქტი, თორემ კაცობრიობის ისტორიამ გადასახადების ამოღებისას პრინციპის — „მიზანი ამართლებს საშუალებას“ — გამოყენების ფაქტების მეტი რა იცის?! მაგალითად, გალთა პროვინციის მმართველმა *პუბლიუს ლიცინიუს კრასმა* ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში უფრო მეტი გადასახადის ამოსაღებად კალენდარს ორი დამატებითი თვე დაუმატა!. კარგადაა ცნობილი რომის იმპერატორის ვესპასიანეს (69-79 წწ.) ნათქვამი — *ფულს სუნი არ უდის.*

ამხელა შესავალი და ისტორიული მაგალითები იმიტომ მოვიტანე, რომ დასუფთავების ტარიფის დენის მოხმარებაზე გადამბმელი თბილისის საკრებულო და მერია *ორიგინალურად შეიძლება მივიჩნიოთ* გადასახადის *ფორმის მოძებნაში* და არა მის *შინაარსობრივ დატვირთვაში.* **ხსენებული გადასახადის დარიცხვის წესს კი „სოციალურ სამართლიანობისთან“ ისეთივე კავშირი აქვს, როგორც სავსე მთვარის ფერს — ნიკოლოზისდროინდელ ოქროს თუმნიანთან.** *სოციალური სამართლიანობა დასუფთავების ტარიფის მოხმარებული დენის სიდიდის მიხედვით უნდა განისაზღვროსო;* **ეტყობა, სამართლიანობის სხვა კრიტერიუმები უკვე დაცულია და იმათ ხომ აღარ შეეხებოდნენ?! ქალაქის *მერისა და რიგითი პენსიონერის შემოსავლების თანაფარდობა, ალბათ, უკვე სოციალურად იმდენად სამართლიანია, რომ* მათი მეტი დაახლოება ა(ღა)რ შეიძლება.** არადა, საქართველოს პენსიონერების პენსია არა მარტო ყველაზე დაბალია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (პენსიის თანაფარდობით საშუალო ხელფასთან საქართველო 1.5-ჯერ ჩამორჩება სომხეთს და 2.0-ჯერ და მეტად — აზერბაიჯანს), არამედ იგი ნახევარზე ოდნავ მეტად თუ ფარავს ოფიციალურ საარსებო მინიმუმს; ეკონომიკურად აქტიური ყოველი 10 ადამიანიდან საქართველოში ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობით მხოლოდ 3-ია დაკავებული. ამიტომ გადასახადებზე ქალაქის მერის ზემოხსენებული „ფრთიანი“ ნათქვამი ისეთივე „რკინის ლოგიკაში“ ჯდება, როგორც ლუარსაბისეული *„გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო,“* რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინას პოლონეთის დანაწილება-დაპყრობის გასამართლებლად ნათქვამი *„მე ვებრძვი იაკობინელებს ვარშავაში“*, ან თუნდაც „ბანალური“ *„ქერტლის საწინააღმდეგო საუკეთესო წამალი გილიოტინაა“...*

ეტყობა, სამართლიანობის სხვა კრიტერიუმები უკვე დაცულია და იმათ ხომ აღარ შეეხებოდნენ?! ქალაქის *მერისა და რიგითი პენსიონერის შემოსავლების თანაფარდობა, ალბათ, უკვე სოციალურად იმდენად სამართლიანია, რომ* მათი მეტი დაახლოება ა(ღა)რ შეიძლება. არადა, საქართველოს პენსიონერების პენსია არა მარტო ყველაზე დაბალია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (პენსიის თანაფარდობით საშუალო ხელფასთან საქართველო 1.5-ჯერ ჩამორჩება სომხეთს და 2.0-ჯერ და მეტად — აზერბაიჯანს), არამედ იგი ნახევარზე ოდნავ მეტად თუ ფარავს ოფიციალურ საარსებო მინიმუმს; ეკონომიკურად აქტიური ყოველი 10 ადამიანიდან საქართველოში ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობით მხოლოდ 3-ია დაკავებული.

ისე, ცნობისათვის: დენის ამჟამინდელი სამსაფეხურიანი, რეპრესიული ტარიფის (რაც უფრო მეტს მოიხმარ, **ყოველი** მოხმარებული კილოვატსაათი მით უფრო ძვირი გიჯდება) გამო საშუალოდ ყოველი ოჯახი ყოველთვიურად დამატებით იხდის 20 ლარს იმასთან შედარებით, მხოლოდ ერთი, დაბალსაფეხურიანი ტარიფი რომ ყოფილიყო. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს დედაქალაქის თითოეული შინამეურნეობა მარტო დენზე მოქმედი ტარიფის „წყალობით“ ყოველწლიურად ზედმეტს უხდის „თელასს“ თითქმის 30 მილიონ ლარს და პირველსაფეხურიან (12.48-თეთრიან) ტარიფთან შედარებით — 70 მილიონ ლარზე მეტს.

**სოციალურ სამართლიანობაზე მზრუნველ ქალაქის ხელისუფლებას კი რატომღაც არ აღელვებს ეს ფაქტი, ის, რომ „თელასი“ ათეულობით მილიონი ლარის დამატებით დაუმსახურებელ შემოსავალს იღებს.** შემთხვევით, ენერგოკომპანიას მიღებული ჭარბი შემოსავლების „სოციალურად სამართლიანი“ განაწილების საკუთარი ფორმულა ხომ არ აქვს, რომელზეც, „კოკა-კოლას“ რეცეპტისა არ იყოს, რიგით მოკვდავებს ხელი არც მიუწვდებათ?!



ირონია ცოტა ხნით ფრჩხილებს გარეთ გავიტანოთ და შევეცადოთ ობიექტურად ვუპასუხოთ კითხვას: **არის თუ არა ეს მოსახლეობის პირდაპირი ორგანიზებული რეკეტი?!** ამას დაუმატეთ უზარმაზარი ფასები საწვავზე, ხორცზე, მომსახურების მრავალ სახეობაზე და მიხვდებით, რომ ქართველი ხალხი საკუთარ სამშობლოში ცხოვრებისთვის ეკონომიკურად გაუმართლებელ და დაუსაბუთებელ უზარმაზარ გადასახადებს, ფაქტობრივად, ხარკს იხდის, რომლის ზომაც დღითი დღე სულ უფრო მძიმე და აუტანელი ხდება.

**რა განსხვავებაა ამ საგადასახადო სისტემასა და ძველ რომში მოქმედ *თავისუფლების გადასახადს* შორის? — ნუთუ მხოლოდ ოცი საუკუნე და... ტექნოლოგიები?!...**

პირველ ივლისს ძალაში შესული დასუფთავების ახალი გადასახადი, თუ სასამართლომ არ გააუქმა, რაც დრო გავა, თბილისელთა სულ უფრო დიდ თავის ტკივილსა და გაღიზიანებას გამოიწვევს. — ხუმრობა საქმეა, ყოველ თბილისურ ოჯახს ორჯერ და მეტად გაუძვირებს დასუფთავების გადასახადს, საშუალოდ - 15 ლარით, მიუხედავად იმისა, ხელისუფლების თავგადაკლული მომხრეა თუ „მამალი“ ოპოზიციონერი.

დასუფთავების გადასახადის ფაქტობრივი ზრდა განსაკუთრებით გროტესკულ შთაბეჭდილებას ტოვებს იმის ფონზე, როდესაც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ამტკიცებს *„ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობებისა და ღირსების შესახებ“* კანონს, რომლითაც გადასახადების გაზრდა ან ახალი გადასახადების შემოღება რეფერენდუმით უნდა გადაწყდეს. ე.ი., *მოგების გადასახადი რომ გაიზარდოს, ან აქციზი, ხალხს უნდა ჰკითხო* (კი მაგრამ, ხალხმა ხომ არჩევნებისას უკვე გამოხატა თავისი დამოკიდებულება, ხომ აირჩია ხელისუფლება, მაშინ რაღა საჭიროა რეფერენდუმი იმ საკითხზე, რის გადაწყვეტის უფლება ისედაც ხელისუფლებაზეა დელეგირებული, რატომღა ცდილობს ეს უკანასკნელი „ხალხზე აპელირებას“, თავადვე ხომ არ ეპარება ეჭვი საკუთარ ლეგიტიმურობასა და კომპეტენციაში?!), *ხოლო ის, რაც უშუალოდ მის ჯიბეზე პირდაპირ მოქმედებს, იმას არ ეკითხები, ისე უძვირებ ორჯერ და მეტად.* სადაური სამართალია?!

გადასახადების ზრდასთან ერთად იზრდება, როგორც ზემოთ ითქვა, ფასებიც, რომლებიც თანდათან მსოფლიო მოწინავე პოზიციებს იკავებს! დღეისათვის საქონლის ხორცი ჩვენთან ამერიკისას საშუალოდ უკვე 60 პროცენტით, ბენზინი — 40, კვერცხი კი — 30 პროცენტით აღემატება. ხელფასები კი ჩვენთან, ამერიკასთან შედარებით, 10-ჯერ დაბალია.

**იქნებ, სოციალური სამართლიანობის აღდგენა ხელფასებისა და ფასების თანაფარდობის თანდათანობითი გამოსწორებით დაგვეწყო?!**

დასუფთავების გადასახადის ამოღების ახალი წესით თითქმის მთელი თბილისქალაქი აგებს. ფინანსურად იგებს თბილისის ბიუჯეტი, მიიღებს რა დამატებით ათეულობით მილიონი ლარის შემოსავალს. თუმცა ეს მისი „პიროსის გამარჯვება“ უფროა, რადგანაც ამ გადაწყვეტილებით იგებს, უფრო სწორედ, შეიძლება მოიგოს, მხოლოდ ოპოზიციურმა სპექტრმა. — **ქალაქის საკრებულომ და პატივცემულმა მერმა მათ მართლაც რომ ბრწყინვალე პოლიტიკური საჩუქარი გაუკეთეს საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების პერიოდში და ისეთ თემაზე მისცეს კრიტიკის საშუალება, რომლებზეც ხელისუფლებას ნაკლებად ექნება კონტრარგუმენტები და თავის მართლების შესაძლებლობა.** თუ რამდენად გამოიყენებს ოპოზიცია ამ საჩუქარს, ეს მეორე საკითხია, რადგან მის ერთი ნაწილის მზერა ამჯერად სულ სხვა მიმართულებითაა მობილიზებული და მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით საბიუჯეტო გობთან *„ლიმონის“ ჩახჩრიალებას* უფრო ელოდება, ვიდრე რიგითი მოქალაქეებისათვის მისაღები ფისკალური სამართლიანობის დამყარებას.

აღნიშნულის ფონზე ერთი კეთილი ქართული ფილმი „ლონდრე“ მახსენდება, სადაც ქალაქის დიამბეგი ნოშრევანი ყოველნაირად ცდილობს მთავარი გმირის პროვოცირებას, წყენინებას. — მისი ინიციატივით, წაგებულად მათ ორ შორის ის ჩაითვლება, ვინც მეორეზე უფრო ადრე გაწყენდება. რას არ უკეთებს ნოშრევანი ლონდრეს, მოულოდნელად ხან ჭიტლაყს ამოკრავს, ხან წყალს შეასხამს, თან სისტემატურად ეკითხება, *ხომ არ გეწყინაო.*

სწორედ რომ **ნოშრევანისა და ლონდრეს ამგვარი ურთიერთობის ილუზიას ქმნის ხელისუფლებისა და ხალხის დამოკიდებულება, როდესაც პირველი სხვადასხვა ფორმით — სელექციური სამართლიანობისა თუ უსამართლო და რეპრესიული გადასახადების შემოღებით, ცდილობს მეორის შეურაცხყოფას, დამცირებას, თან ეკითხება, *ხომ არ გეწყინაო.*** ესაა, რომ ნოშრევანის ხელჯოხისაგან განსხვავებით თავისი „ძალის არგუმენტად“ ხელისუფლებას უმძლავრესი

საშუალებები აქვს – ტექნიკის ბოლო სიტყვით ეკიპირებული სპეცრაზმიდან დაწყებული და დრაკონული ჯარიმებით დამთავრებული. – *აბა გაბედე და პროტესტი გამოხატე, წყენაც არ უნდა დაგეტყოს სახეზე, თორემ წააგებ!* გაზრდილი საბიუჯეტო სახსრები კი სწორედ რომ ამ სულ უფრო მეტად პრეტორიანული ნიშნის მქონე რეპრესიული აპარატის გაძლიერებას და უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიით აღჭურვას ემსახურება.

თუმცა, თანამედროვეობის შესაფერისი გადასახადების შემოღებამდე „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“. აი, მაგალითად, იაპონური ტექნოლოგიების სრულმასშტაბიანი დანერგვის შემთხვევაში სულ სხვა მასშტაბებსა და დიაპაზონთან გვექნებოდა საქმე – ალბათ, *ყველაფერი, ნებისმიერი ქმედება და აქტიურობა დაიბეგრებოდა* – მოქალაქეობის უფლებიდან დაწყებული და კოიტუსით დამთავრებული. დიახ – *ყოველ სრულწლოვანზე ერთი სავალდებულო მიკროჩიპი და იმის ჯანი!* თითოეული კოიტუსის დაბეგვრა ხომ ბიუჯეტს უზარმაზარ შემოსავალს მოუტანდა. თანაც ხელისუფლებას ზუსტად ეცოდინებოდა, რა კორელაციაშია მათი სიხშირე ეკონომიკურ კონიუნქტურასთან, დასაქმებისა და უმუშევრობის მდგომარეობასთან ან თუნდაც რეგიონულ განფენილობასთან, წელიწადის დროსთან, შემოსავლებთან, როგორია მომხრეებისა და ოპოზიციის აქტიურობა და ა.შ... სამოქალაქო რეესტრიც დამატებით ფუნქციას შეიძენდა - მაგალითად, ადიულტერის გამოვლენის, და მერე წავიდოდა, თუ წავიდოდა, საპროცესო გარიგებების დადებაზე „ჩალიჩი“ – ოღონდ თანამეცხედრემ არ გაიგოს და ყველაფერს გადავიხდიო... აუ, რას დახატავდა აღნიშნული სახის საგადასახადო შემოსავლები და შემოსულობები ადგილობრივი, ტრანსფერების „ნემსზე შემჯდარი“ თვითმმართველობების ბიუჯეტებს?!

თავისი „ძალის არგუმენტად“ ხელისუფლებას უმძლავრესი საშუალებები აქვს – ტექნიკის ბოლო სიტყვით ეკიპირებული სპეცრაზმიდან დაწყებული და დრაკონული ჯარიმებით დამთავრებული. – *აბა გაბედე და პროტესტი გამოხატე, წყენაც არ უნდა დაგეტყოს სახეზე, თორემ წააგებ!* გაზრდილი საბიუჯეტო სახსრები კი სწორედ რომ ამ სულ უფრო მეტად პრეტორიანული ნიშნის მქონე რეპრესიული აპარატის გაძლიერებას და უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიით აღჭურვას ემსახურება.

ეჰ, შენ ტექნოლოგია მითხარი, თორემ საკანონმდებლო უზრუნველყოფა, ჩათვალე, რომ უკვე გარანტირებულია. ამაზე იტყვიან, *ვისა აქვს საჭმელი, ვის კი – ჭამის იშტაო.*

ეს, რა თქმა უნდა, ირონიით, ხუმრობით, თუმცა ბოლო წლებში იუმორმაც და ხუმრობამაც დაკარგა „სიმძიმის ცენტრი“ და უკვე ველარ გაგირკვევია, რამდენად ეფექტური იქნებიან ისინი ანტიდოტის როლში „შავ იუმორში“ შეზავებული ხელისუფლების მუდმივი მუქარების, პერმანენტული რეფორმებისა და ნულოვანი ტოლერანტობის მიმართ.

„ლონდრე“ დიდაქტიკური ფილმი-ზღაპარია და არ შეიძლება კეთილად არ დამთავრდეს. მაგრამ ცხოვრებაში ყოველთვის იოლად არ ხდება სიკეთისა და სამართლიანობის გამარჯვება, ისევე როგორც დაზეგვრის სამართლიანობის მიღწევა, თუნდაც ამ უკანასკნელს ქვეყნის დედაქალაქის არჩეული მერისგან ჰქონდეს საინფორმაციო მხარდაჭერა. თუმცა, ვინ იცის - ჩვენს მოსახლეობასაც მასზე მზრუნველი და „კიდევ ბევრის გამკეთებელი“ ხელისუფლების გამოისობით ხომ ისედაც ბევრიც აღარ უკლია ლონდრესავით გაშიშვლებამდე?!

**არჩილ იოსებიძე.**
**თბილისი**
**2011 წლის ივნისი**

**◎ პრობლემა**

# ლუსტრაციის კანონი - რეპრესიული გზა თუ პოლიტიკური გასამართლების ფორმა?

**საქართველოს პარლამენტის მიერ 31 მაისს „ლუსტრაციის კანონის“ მიღების მოტივაციაზე, ეფექტურობასა და ხარვეზებზე „ინტერპრესნიუსი“ ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში აღმოსავლეთ ევროპასა და საქართველოში ლუსტრაციის პოლიტიკისა და პრაქტიკის მკვლევარს პეტერ როჟიჩს ესაუბრა.**



**პეტერ როჟიჩი** – ლუსტრაცია არა სამართლებრივი და მორალური, არამედ მხოლოდ პოლიტიკური გასამართლების ფორმაა. აღმოსავლეთ ევროპის 30 ქვეყნიდან „ლუსტრაციის კანონი“ მხოლოდ 12 ქვეყანაშია მიღებული. 18 ქვეყანას „ლუსტრაციის კანონი“ დღემდე არა აქვს მიღებული. ლუსტრაცია სინათლესთან არის დაკავშირებული და ერთგვარი განწმენდის რიტუალს უკავშირდება, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები ახორციელებენ.

ლუსტრაცია ბრძოლის წინ ან ბრძოლის შემდეგ ხორციელდება ხოლმე. პოლიტიკური მნიშვნელობით ლუსტრაცია რომში, იმპერატორ ტრაიანის ეპოქაში იღებს სათავეს. აღსანიშნავია, რომ ის 12 ქვეყანა, რომლებშიც მიღებულია „კანონი ლუსტრაციის შესახებ“, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. ამ კანონების მიზანია რეჟიმების ყოფილ მსახურთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა. ეს არის მცდელობა, გადახედონ წარსულს და რეჟიმის ყოფილ მსახურებს ახალ რეალობაში შეუზღუდონ ან აუკრძალონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობა.

რიგ ქვეყნებში „ლუსტრაციის კანონის“ მიღების თემაზე პარლამენტში არც უმსჯელიათ. ჩემს მშობლიურ სლოვენიაშიც არ მიუღიათ „ლუსტრაციის კანონი“. არიან ქვეყნები, სადაც პარლამენტში კენჭისყრა შედგა, მაგრამ კანონი არ მიუღიათ. რიგ ქვეყნებში კანონი მიღებულია, მაგრამ ცხოვრებაში არ გატარებულა. იმ 12 ქვეყანაში, რომლებშიც კანონი მიღებულია, შეიძლება ვთქვათ შემდეგი – კანონი მკაცრი, საშუალოდ მკაცრი ანაც ჩვეულებრივია. აღსანიშნავია, რომ მკაცრი კანონები იმ ქვეყნებშია მიღებული, სადაც კომუნისტური რეჟიმი საკმაოდ მკაცრი იყო.

„ლუსტრაციის კანონის“ მიღებამდე საჯარო მსჯელობა მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყნებში აღმოჩნდა შესაძლებელი. კანონი ქმედუნარიანი იმავე დემოკრატიულ ქვეყნებში აღმოჩნდა. თუმცა, ამ ტიპის ქვეყნებშიც კი „ლუსტრაციის კანონის“ შედეგები პოლიტიკური კონკურენციის დროს ხშირად გამოიყენება. ამ მხრივ გარკვეული თვალსაზრისით „ლუსტრაციის კანონი“ ანტიდემოკრატიულიც შეიძლება იყოს. იმისათვის, რომ კანონმა სრულად იმოქმედოს აუცილებელია დემოკრატიულობის გარკვეული დონე.

რუსეთმა „ლუსტრაციის კანონი“ 1991 წელს ვერ მიიღო. იმ პერიოდის რუსეთი უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე დღეს საქართველოა, მაგრამ საქართველომ „ლუსტრაციის კანონი“ 2011 წელს მიიღო, რუსეთს კი იგი დღემდე არა აქვს მიღებული. 90-იან წლებში რუსეთში „ლუსტრაციის კანონის“ მიღებაზე ბევრს საუბრობდნენ, მაგრამ ამ კანონის მიღება ვერ მოხერხდა. რუსეთში „ლუსტრაციის კანონზე“ აქტიურად მუშაობდა გალინა სტარავოიტოვა, მაგრამ მისი ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ამ კანონზე პრაქტიკულად არც არავის უმუშავია. ამ კანონის მიღებაში პრეზიდენტი ელცინი იმ ადამიანებმა ვერ დაარწმუნეს, ვინაც მას ვიცე-პრემიერად ეგორ გაიდარის დანიშვნა ურჩია.

საქართველოში „ლუსტრაციის კანონის“ მიღება არ განუხორციელებია პრეზიდენტ გამსახურდიასაც, რომელიც დისიდენტი იყო და კომუნისტები არ უყვარდა. ამის მიზეზი შესაძლოა, ორი რამ ყოფილიყო – იგი თავად იყო დაკავშირებული სპეცსამსახურებთან ანაც არ სურდა, გამოაშკარავებულიყო საბჭოთა წლებში მისი მამის სპეცსამსახურებთან სავარაუდო თანამშრომლობა.

რთული სათქმელია, კანონს შეუძლია თუ არა სამართლიანობის დამკვიდრება, მაგრამ ფაქტია, რომ მას ძლიერი პოლიტიკური დატვირთვა აქვს. უდავოა, რომ დემოკრატიულ პირობებში პოლიტიკური კონკურენციისას წარსულს აქვს მნიშვნელობა, მაგრამ „ლუსტრაციის კანონის“ ამოქმედება ქვეყანას და საზოგადოებას ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე აყენებს. ვიმეორებ, რაც უფრო დემოკრატიულია ქვეყანა, „ლუსტრაციის კანონის“ ამოქმედების შემდეგ წარმოქმნილ საფრთხეებს შედარებით იოლად უმკლავდება.

ნის მიღებისას აკრძალვა არ დაწესებულა არჩევით ორგანოებში კომუნისტთა ყოფნაზე, მაგრამ გარკვეული შეზღუდვები დაწესდა აღმასრულებელ ორგანოებში მათ საქმიანობაზე.

გერმანიაში კანონის განსაკუთრებული სიმკაცრით მიღება იმას დაუკავშირდა, რომ საჭირო იყო ქვეყნის დეკოლონიზაცია. საუბარია ქვეყნის გაერთიანების შემდეგ ყოფილი დემოკრატიული რესპუბლიკის დეკოლონიზაციაზე. ანუ, კანონის მიღება პოლიტიკურად იყო მოტივირებული.

აშკარაა, რომ საქართველოში „ლუსტრაციის კანონის“ მიღება პოლიტიკურად ძალიან მოტივირებული იყო. ძალიან ცუდია, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება სუსტია და ამ კანონის მიღების ინიციატორი სამოქალაქო საზოგადოება არ ყოფილა. ძალიან ცუდია ისიც, რომ კანონის მიღებამდე „ლუსტრაციის კანონზე“ და მის კონკრეტულ მუხლებზე საზოგადოებაში საჯარო მსჯელობა არ გამართულა. 2007 წელს საქართველოში კანონის მიღება ვერ მოხერხდა, მაგრამ ახლა, როცა რუსეთიდან საფრთხის თვალსაზრისით პრაქტიკულად ისეთივე ვითარებაა, როგორც 2007 წელს, 2011 წელს კანონის მიღება შესაძლებელი გახდა. 2007 წელს „ლუსტრაციის კანონის“ მიღების ერთ-ერთმა ინიციატორმა მითხრა, რომ დეპუტატმა თორთლაძემ, რომლის ინიციატივითაც წელს იქნა მიღებული კანონი, სიტყვასიტყვით გაიმეორა ის კანონი, რაც თავად 2007 წელს ჰქონდა შემუშავებული.



„ლუსტრაციის კანონის“ მიღებისას გასათვალისწინებელია მოტივაცია და სამართლებრივი საკითხები. ამ თვალსაზრისით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრაქტიკის შესწავლა ჯერ არ დამისრულებია, მაგრამ გარკვეულ შედეგებზე საუბარი შემიძლია. გერმანიაში ლუსტრაცია ასეთი ლოზუნგით ჩატარდა – „უმჯობესია, თქვენ მოხვიდეთ ჩვენთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მოვალთ თქვენთან“. გერმანიამ ლუსტრაციის მკაცრი კანონი მიიღო და სწრაფადვე განახორციელა. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, ვინაიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შტაზის სახელწოდებით ცნობილ სპეცსამსახურზე საკმაოდ ბევრი მოქალაქე მუშაობდა. საკმაოდ მკაცრი ლუსტრაციის კანონი მიიღეს ჩეხეთში და ასევე სწრაფ ტემპებში განხორციელდა. პოლონეთმაც „ლუსტრაციის შესახებ“ მკაცრი კანონი 1996 წელს მიიღო. ეს კანონი საბოლოოდ 2007 წელს მიიღეს, მაგრამ მისი სრულად განხორციელება ჯერ არ დაწყებულა. პოლონეთში მოქალაქეს ეკითხებიან მხოლოდ, იყო თუ არა რეჟიმის ნაწილი. თუ იგი ამ საკითხში იცრუებს, მკაცრად ისჯება.

სხვადასხვა ქვეყნებში კანონის მიღების აუცილებლობა სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული. ჩეხეთში „ლუსტრაციის კანონის“ მიღება იმ გარემოებამ განაპირობა, რომ „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ, 10 დღეში პრაღაში გავრცელდა პროკლამაციები, რომ კომუნისტებს უნდა დაებრუნებინათ ძალაუფლება. ამან დააჩქარა კანონის მიღება. ჩეხეთში კომუნისტური პარტია არ აუკრძალავთ, ჩეხ კომუნისტებს პარლამენტში დღესაც ჰყავთ თავისი წარმომადგენლობა. კანო-

ჩემი აზრით, 2011 წელს „ლუსტრაციის კანონის“ მიღებას რამოდენიმე ახსნა უნდა ჰქონდეს. შესაძლოა, ხელისუფლებას ამ ნაბიჯით ანტირუსული ქმედების განხორციელება სურდა ან ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა ოპოზიციის ინიციატივისათვის. შესაძლოა, იყოს უფრო სერიოზული ახსნაც – იმის გამო, რომ სააკაშვილის ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნები რუსეთთან დაკავშირებული აღმოჩნდნენ, შშს-მ მოითხოვა „ლუსტრაციის კანონის“ მიღება. თუ მანამდე დეპუტატთა ნაწილი კანონის მიღებაზე თავს იკავებდა, 26 მაისის მოვლენების შემდეგ თავის შეკავება და წინააღმდეგობის გაწევა ვერავინ გაბედა.

ამრიგად, ჩემი აზრით, საქართველოში „ლუსტრაციის კანონის“ მიღება შიდა და გარე საფრთხეებით იყო მოტივირებული. არავინ დავობს, რომ რუსეთი საფრთხეა, მაგრამ ვიტყოდი, რომ საქართველო რუსეთით ზედმეტადაც არის შეშფოთებული. ის ადამიანები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ საბჭოთა სპეცსამსახურთან, საქართველოში ძალაუფლებას ვერ დაიბრუნებენ. მიუხედავად ამისა, ისინი დღესაც ამ სტრუქტურებთან დაკავშირებულ ადამიანებად აღიქმებიან.

კითხვაზე, თუ რატომ მიება საქართველოში „ლუსტრაციის კანონს“ ანტიტერორისტული კონტექსტი? პეტერ როჟიჩის აზრი ასეთია – „ხელისუფლება შიშობს, რომ მარტო ლუსტრაცია საკმარისი არ იქნებოდა. „ლუსტრაციის კანონის“ ამოქმედების შემთხვევაში ლუსტრაცია არა სამართლებრივი და მორალური, არამედ მხოლოდ პოლიტიკური გასამართლების ფორმაა“.

**კობა ბენდელიანი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილს ქუთაისის საქართველოს მეორე დედაქალაქად გადაქცევა სურს

**ქართველმა დეპუტატებმა მესამე და ფინალური მოსმენით დაამტკიცეს საკონსტიტუციო ცვლილებანი, რომელთა თანახმადაც 2012 წელს ქვეყნის პარლამენტი გადავა ქუთაისში, სიდიდით ქვეყნის მეორე ქალაქში.**

„ეს არის ისტორიული რეფორმა, რომლის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია", – განაცხადა ამ ცვლილებების შეტანის ინიციატორმა სააკაშვილმა.

მან შეგვახსენა, რომ ამგვარი ნაბიჯი უკვე იყო მიღებული ქვეყნის უახლოეს ისტორიაში, როდესაც 2006 წელს თბილისიდან ბათუმში გადაიტანეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

მაგრამ ოპოზიციას მიაჩნია, რომ პრეზიდენტის ინიციატივის უკან დგას სურვილი, აიცილონ ანტისამთავრობო გამოსვლები, რომელთა ძირითადი არენა ტრადიციულად იყო მოედანი პარლამენტის შენობის წინ დედაქალაქის ცენტრში.

პარლამენტის ამჟამინდელ შენობაში დარბაზის მახლობლად, სადაც მიმდინარეობს პლენარული სხდომები, გამოტანილია ახალი პარლამენტის მაკეტი, ქუთაისში კი გრძელი და მაღალი ღობის იქით ინტენსიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები.

მშენებლობა უპირატესად მინისაა, ეს არის 40-მეტრიანი თანამედროვე შენობა 40 ათასი კვადრატული მეტრით. მთავრობის გეგმის თანახმად, მშენებლობა 2012 წელს უნდა დამთავრდეს.

ოპოზიციას აინტერესებს, თუ რამდენი უჯდება ქვეყანას საკანონმდებლო ორგანოს გადატანა, მაგრამ ხელისუფლება ცდილობს ამ საკითხს გვერდი აუაროს.

ამ დროს ოპოზიციური დეპუტატების დაანგარიშებით, პრეზიდენტის ეს წამოწყება ქვეყანას დაუჯდება 100 მილიონ დოლარზე მეტი, რაც მაღალი უმუშევრობისა და ცხოვრების დაბალი დონის ფონზე არის სულ ცოტა არამიზანშეწონილი ხარჯვა.

ამას გარდა, ახალი შენობის მშენებლობის ხარჯების გარდა მნიშვნელოვანი სახსრები დაიხარჯება ყოველწლიურად აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა გადაადგილებაზე თბილისიდან ქუთაისში, აღნიშნავენ იდეის მოწინააღმდეგეები.



მაგრამ პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტის ხელმძღვანელის ზურაბ მელიქიშვილის სიტყვებით, ახალი შენობა ეღირება დაახლოებით 34 მილიონი დოლარი.

საბჭოთა პერიოდში ქუთაისი საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი სამრეწველო ცენტრი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლამ რადიკალურად შეცვალა ცხოვრება ქალაქში: ქარხნები გაჩერდა, მოსახლეობის უმრავლესობა კი უმუშევარი დარჩა.

„2008 წლამდე ქუთაისი მთლიანად იყო დავიწყებული და ყურადღებას მოკლებული მთავრობის მხრიდან, – ამბობს ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი, ქუთაისელი მაია მეცხვარიშვილი. – ეს იწვევდა შეშფოთებას ადგილობრივ მცხოვრებლებში, განსაკუთრებით ვარდების რევოლუციის შემდეგ 2004 წელს".

მისი სიტყვებით, ქალაქის ცხოვრებამ ცვლილებები დაიწყო 2008 წლის პრეზიდენტის არჩევნების წინ. მაშინ ქუთაისელებმა მიიღეს კიდეც წინასაარჩევნო დაპირება ქუთაისის საქართველოს მეორე დადაქალაქად გადაქცევის შესახებ, ამბობს მეცხვარიშვილი.

რეგიონის ეკონომიკური განვითარება დღეს პარლამენტის გადატანის მომხრეთა ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია.

„ყველაზე ოპოზიციურად განწყობილი ქალაქი ნებისმიერ ქვეყანაში დედაქალაქია, – ამბობს ექსპერტი რამაზ საყვარელიძე. – სააკაშვილმა გადაწყვიტა, დაასუსტოს ეს ქალაქი. ახლა დედაქალაქის „კომპონენტები" გაფანტული იქნება მთელ ქვეყანაში და ეს შეიტანს ქაოსს მოპროტესტე ხალხის გეგმებში.

ნინო ჯინჭარაძის ფანჯრიდან მოჩანს უზარმაზარი სამშენებლო მოედანი და ისმის სამშენებლო სამუშაოთა გუგუნი. მისთვის მოდერნიზებული შენობის მშენებლობა სახლის მეზობლად – ეს არ არის დაპირებული სამუშაო ადგილები და მომავალი კეთილდღეობა, არამედ ეს შეგვახსენებს იმას, თუ რა მოხდა წლინახევრის წინათ, 2009 წლის 19 დეკემბერს.

„ნურავის დაავიწყდება, რომ ამ პარლამენტის გამო დაიღუპა ორი აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანი, – ამბობს ნინო ჯინჭარაძე. – მე ყოველდღე მესმის ეს გუგუნი და ვხედავ, თუ როგორ აშენებენ ისინი იმას, რის მსხვერპლადაც იქცნენ ჩემი ძმისწული და რძალი".

მაშინ, 2009 წლის დეკემბერში ნინო ძმისწულისა და რძლის გვერდით იყო, როდესაც, უახლოესი რაიონების მცხოვრებთა მსგავსად, მათ, ხელისუფლების მოთხოვნის თანახმად, დატოვეს სახლები და გავიდნენ ქუჩაში, ქუთაისში დიდების მემორიალის დემონტაჟის დროს.

10 წლის გოგონა დაიღუპა ადგილზე, როდესაც თავში ქვა მოხვდა, მისმა დედამ კი რამდენიმე ჭრილობა მიიღო თავში და მუცლის არეში, გარდაიცვალა ერთი საათის შემდეგ საავადმყოფოში.

ქუთაისში მემორიალის დანგრევის შესახებ გადაწყვეტილებას ბევრი არასწორად მიიჩნევს. მეზობელი სახლების მცხოვრებთა სიტყვებით, თანამედროვე, პარლამენტის მოდერნიზებული შენობის ასაგებად ქუთაისში ისედაც მოიძებნებოდა ადგილი.

მაგრამ, ახალი სამუშაო ადგილების გამოჩენის პერსპექტივა მაინც ბევრს ხიბლავს.

ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ქალაქი უფრო მოვლილი გახდა, უმუშევრობა ძველებურად მთავარი პრობლემაა ქუთაისელებისთვის.

BBC RUSSIAN.com

# ფართო გზა ნახმარი ჯიპების ექსპორტს

**დაივიწყეთ ფეროშენადნობები და ჯართი. დღეს ნახმარი ავტომობილები საქართველოს ექსპორტის მთავარი საგანია, რომელსაც სახელმწიფო ხაზინისთვის მოაქვს ათობით მილიონი დოლარი. სხვათა შორის, ამის პარალელურად დგება უხერხული საკითხები ქვეყნის უნარის შესახებ, თავად აწარმოოს საქონელი.**

ქართველი აგენტები, რომლებიც მხარს უჭერენ ნახმარი მანქანების გაყიდვას, წარმოქმნილ ბუმს მნიშვნელოვანწილად უკავშირებენ საავტომობილო დილერების ენერგიულ ძალისხმევას ყაზახეთიდან, რომლებიც ჩქარობენ, შეავსონ თავიანთი მარაგი პირველი ივლისის წინა პერიოდში, როდესაც ამ ცენტრალური აზიის ქვეყანაში, რომელმაც რუსეთთან და ბელარუსთან სავაჭრო კავშირი გააფორმა, ძალაში შედის ბრძანებულება იმპორტულ ავტომანქანებზე საბაჟო გადასახადების გაზრდის შესახებ.

საქართველოს მთავრობის მონაცემებით, 2011 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში ქვეყანამ მოახდინა ნახმარი ავტომობილების ექსპორტი 197 მილიონი დოლარის ოდენობით. განსაკუთრებით მკვეთრი აღმავლობა იყო მაისში: მარტო ამ თვეში გაყიდული მანქანების მოცულობამ 56,7 მილიონი დოლარი შეადგინა.

თბილისში ყაზახეთის საელჩოს წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ყაზახეთი აწარმოებს ავტომობილების ძალიან დიდ ექსპორტს სხვადასხვა ქვეყნიდან, რათა მთავრობამ შეძლოს, თვალყური გაადევნოს იმას, თუ რამდენი მანქანა შემოდის ამა თუ იმ ქვეყნიდან ამა თუ იმ წელიწადში.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყაზახეთში საბაჟო ტარიფების შემოღებამდე იმპორტულ ავტომობილებზე დარჩა ერთი თვე, თანაც ისიც, რომ ნახმარი ავტომანქანების ექსპორტი ძალიან მალე მკვეთრად შემცირდება, ძრავების მოცულობების შესაბამისად.

სხვათა შორის, გამოსასვლელი დღის ავტობაზარზე, რომელიც თბილისის სამხრეთით 30 კილომეტრშია, მიმდინარე წლის მაისში არავითარი მსგავსი რამ ავტომობილების რეექსპორტის მოულოდნელ დაქვეითებასთან დაკავშირებით, არ შეიმჩნეოდა.

მოედანზე, რომელიც ავტოსადგომს მოგვაგონებს დიდი აეროპორტის მახლობლად სიცოცხლით აღსავსე ზაფხულის დღეს, ერთი მეორის გვერდით დგას თითქმის ერთი ფასის 7 ათასამდე ავტომობილი. აქ მყიდველები ათვალიერებენ ავტომანქანების სხვადასხვა ფერის კოლექციას, დაწყებული თვალისმომჭრელი ჯიპებით და დამთავრებული მარცხენა საჭეების მანქანებით, რომლებიც ჩამოტანილია იაპონიიდან, დუბაიდან, ჩინეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

როგორც ნებისმიერ ქართულ ბაზარში, აქ ბევრია მოხალული მზესუმზირის და ნაყინის გამყიდველები თავიანთი პორტატული მაცივრებით. გამყიდველებისა და მყიდველებისთვის წვიმა დაბრკოლება როდია. დილერები, რომლებიც 7 ლარს იხდიან დღეში ერთი სამანქანო ადგილისთვის ბაზარზე, თავს აფარებენ წვიმას თავიანთ მანქანებში, პოტენციური მყიდველები კი ქოლგებით ათვალიერებენ ძრავებს და ძარებს.

ა.ბუხრიკიძე, საშუალო ასაკის გამყიდველი, აღსავსეა ოპტიმიზმით. იანვრიდან აპრილამდე, მისი სიტყვებით, ყოველ თვეში საშუალოდ 5 მანქანის გაყიდვა მოახერხა. მას კარგი მოგება მისცა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებიდან მანქანების ჩამოყვანამ. ის ამ ბიზნესში ათ წელზე მეტია მუშაობს, მაგრამ არასოდეს ყოფილა გაყიდვები ასეთი წარმატებული, როგორც ახლაა, ამბობს იგი.

სხვათა შორის, ნახმარი მანქანების გაყიდვით სარგებელს პოულობს მთელი საქართველო, საერთო ეროვნული მასშტაბით. მანქანების რეექსპორტის ბაზრის ამჟამინდელი ბუმი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კოლოსალური უფსკრულის შემცირებას იმპორტის მაღის ზრდასა და ქვეყნის სამრეწველო სექტორის დიდ ჩავარდნას შორის.

სავაჭრო დეფიციტი, რომელმაც 2011 წლის პირველი ხუთი თვის მანძილზე 1,6 მილიარდი დოლარი შეადგინა, 2010 წლის შესაბამისი პერიოდის 1,2 მილიარდ დოლართან შედარებით, სიტუაციაში, როდესაც შემცირდა უცხოური ინვესტიციები და უკიდურესად უმნიშვნელო მოგების ფონზე, მძიმე ვითარებაში აყენებს ქვეყანას. თუ ავტომობილების რეექსპორტი ვერ ახერხებს ამ დეფიციტის მთლიანად დაფარვას, იგი მაინც ხელს უწყობს ქართული ექსპორტის ზრდის შთაბეჭდილების შექმნას.

2011 წლის პირველი ხუთი თვის მანძილზე ქართული ექსპორტი 41 პროცენტით გაიზარდა 2010 წლის იმავე პერიოდთან შედარებით და, ოფიციალური მონაცემებით, ამ პერიოდში 857 მილიონი დოლარი შეადგინა.

მაგრამ ეკონომისტი დავით ნარმანია, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, ძველებურად მიიჩნევს, რომ ავტომობილების რეექსპორტს ქვეყნისთვის მოაქვს მხოლოდ მეტად შეზღუდული ეკონომიკური მოგება, ვინაიდან ავტომობილები საქართველოში არ იწარმოება.

მაგრამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის მთავარი კონსულტანტი ვახტანგ ლეჟავა ამ ბიზნესს ქართული ექსპორტის „ნაღებად" მიიჩნევს.

ნახმარი ავტომანქანები – ერთადერთი სექტორი როდია საქართველოს ეკონომიკისა, რომელიც აყვავებას განიცდის, აღნიშნავს ლეჟავა. ტურიზმმა, რომელიც განიხილება როგორც ექსპორტი, ვინაიდან იგი ხელს უწყობს უცხოური ვალუტის შემოდენას, ასევე თავისი წვლილი შეიტანა 2010 წელს ექსპორტის ამაღლებაში.

მაგრამ ეჭვს იწვევს, რომ ამჟამინდელი ბუმი დიდხანს ვერ იბოგინებს საქართველოში. ავთანდილ ბუხრიკიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თითქმის ყველა ამჟამინდელი მყიდველი – ყაზახეთის მცხოვრებია. დიდი არ არის ამ საქმის პერსპექტივები, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყაზახეთში 1 ივლისს ძალაში შევიდა რუსეთთან და ბელარუსთან საბაჟო ნორმების შესახებ კანონმდებლობა ნახმარი ავტომობილების შემოტანასთან დაკავშირებით.



EURASIANET.ORG

## დედამიწის ზურგზე



**მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყირიმის ხოცვა-ჟლეტის შესახებ: უკრაინის სპეცნაზელები „თავებს აცლიდნენ" კაზაკებს, კაზაკები კი მათ სისხლს აფურთხებდნენ სახეში**

მკაცრი დაპირისპირება მოხდა შაბათს ფეოდოსიის მახლობლად მართლმადიდებელი ჯვრის მოხსნის ადგილზე. „ჩვენ უბრალოდ გვხოცავდნენ", – ამბობენ კაზაკები, რომლებსაც ასობით ომონელი ხელკეტებით ხელში არ აძლევდნენ წმინდა ხატის ადგილზე დაბრუნების საშუალებას. ადგილობრივი ხელისუფლება იცავს ყირიმელ თათრებს და ბრალს სდებს კაზაკებს რბევის მოწყობაში.

* * *

**თურქეთში გარდაიცვალა რუსეთელი ტურისტი, ვისი სახის წაღებასაც გადასანერგად აპირებდნენ**



23 წლის იაროსლაველი სტუდენტი ვიქტორია ნიკოლაევა საავადმყოფოში მოხვდა ბოდრუმში იახტაზე მოწამვლის შემდეგ. ორი კვირის წინათ თურქი ექიმები აღნიშნავდნენ, რომ ნიკოლაევას ტვინი გარდაიცვალა, მაგრამ ახლობლებს ბოლომდე ჰქონდათ იმედი, რომ იგი გონს მოვიდოდა. ექსპერტები: ვიქტორიასთვის საბედისწერო აღმოჩნდა ბოლო შესმული ბოკალი.

* * *

**აშშ-ში ნაკრძალ მდინარე იელოუსტონში ჩაიღვარა 160 ათასი ლიტრი ნავთობი**



საგანგებო შემთხვევა მოხდა ივლისში ნავთობსადენის გახეთქვის შედეგად, რომელიც წყალსაცავის ფსკერზეა. ნედლმა ნავთობმა შექმნა 40 კილომეტრი სიგრძის ლაქა. ხელისუფლებამ მახლობლად დასახლებული პუნქტების მცხოვრებთა ევაკუაცია მოახდინა. კომპანიამ ბოდიში მოუხადა შტატს და ახლა აწარმოებს შედეგების ლიკვიდაციას, მაგრამ პარკის ეკოსისტემას უკვე მიადგა დიდი ზარალი, მიაჩნიათ ეკოლოგებს.

* * *

**ჩინეთში ორი წლის გოგონა მეათე სართულიდან გადმოვარდნის შემდეგ ცოცხალი გადარჩა: იგი შემთხვევით გამვლელმა დაიჭირა**

ქალმა თავი ასწია და დაინახა, თუ როგორ მოფრინავდა ქვევით პატარა ბავშვი, ქალი გაიქცა მის დასაჭერად. შედეგად საავადმყოფოში მოხვდა ორივე – გოგონაც და მისი გადამრჩენიც. ქალს დაუფიქსირდა მრავალი მოტეხილობა მარცხენა ხელზე, ბავშვი ჰოსპიტალიზებულია შინაგანი ორგანოების დაზიანებით.



ლექსის ტრფიალი

# სიყვარულით შთაგონებული

**„თქვენს წინაშეა ლექსები, რომლებიც არც ჭარბსიტყვიანია და არც ქართული ენისთვის ჩვეული სიტყვაკაზმულობით გამოირჩევა. ეს არის ერთი ჩვეულებრივი ადამიანის თვალით დანახული და ლექსებად აკინძული სამყარო.**



**ჩემი ლექსები ეძღვნება ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჩემსავით უყვარს სიცოცხლე და თვლის, რომ ცხოვრება მართლაც მშვენიერია!“**

ამ სიტყვებით მიმართავს მკითხველს ახალგაზრდა პოეტი და მთარგმნელი დათა აჯიაშვილი თავისი ლექსების კრებულში, რომელსაც მართლაც ლამაზი, იმედიანი და მომავლის რწმენით აღსავსე სახელი „ცხოვრება მშვენიერია“ უწოდა.

ის 1983 წელს მთაწმინდის ძირას, ერთ პატარა, ლამაზ, ნამდვილ თბილისურ უბანში დაიბადა.

აქ ეზიარა პირველ სიყვარულს და პირველად აიღო ხელში კალამი.

წერა სტუდენტობისას დაიწყო.

მისი პირველივე ლექსებიდანაც ცხადად ჩანს, თუ როგორი მოკრძალებით, როგორი რუდუნებით ეპყრობა საკუთარ თავში ჩაღრმავების, საკუთარი სულიერი ღირებულებების გამოხატვის ყველაზე ფაქიზ ფორმას – პოეზიას.

ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტა, რომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა მაგისტრატურაში „თანამედროვე კულტურის ფილოსოფიის“ სპეციალობით გაეგრძელებინა.

მისი ლექსები მრავალჯერ დაიბეჭდა უნივერსიტეტის გაზეთში. მისი სახელი შევიდა XX საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგიაში.

დიდ ასპარეზზე ის ლერმონტოვისა და ბაირონის თარგმანებით გამოვიდა.

გამოვიდა და გემოვნებიანი საზოგადოებისა და ინტელექტუალური წრეების განსაკუთრებული ყურადღება და მოწონება დაიმსახურა.

**„ბედნიერების არ ვიცით ფასი,**
**და ჩვევისამებრ, ჩვენც ხალხს ვაფასებთ;**
**თუმც ვუღალატეთ ორივემ ჩვენს თავს,**
**ჩვენ ვეღარავინ ვერ გვიღალატებს.**

**ბრბოში ვიცანით ჩვენ ერთმანეთი,**
**და დავშორდებით ნაბიჯით ნელით.**
**უსიხარულო იყო ტრფიალი,**
**არც განშორება იქნება ძნელი.“**

მიხეილ ლერმონტოვის ლექსის ეს თარგმანი, დათას ლექსების პირველ კრებულში შევიდა და ამ კრებულს მან „მე მთელი გულით ვუმღერ სიყვარულს, ანუ ლექსების წერის მცდელობა“ დაარქვა.

მცდელობამ გაამართლა.

გაამართლა არა მარტო იმიტომ, რომ ამ უდავოდ ნიჭიერ პოეტს რითმის გრძნობა და ლექსის მუსიკალობის აღქმის ღვთით მომადლებული ნიჭი აღმოაჩნდა, გაამართლა იმიტომაც რომ მას ყოველი დღის გათენება უხარია. უხარია გაზაფხულის მოსვლა, უყვარს ზაფხულის მზე, ესმის შემოდგომაზე ჩამოვარდნილი ფოთლის ხმა და ტკბება ზამთრის თეთრი სისპეტაკით.

დათა აჯიაშვილის ლექსების შეფასებისას ბატონი გივი შაჰნაზარი წერდა: „მისი პოეტური პალიტრის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების საწინდარი წელიწადის ოთხივე დროა; ტკივილი თუ სიხარული, სათქმელის სიღრმე თუ სილაღე მისთვის წელიწადის ოთხივე დრო სხვადასხვანაირად მჟღავნდება, რასაც სალექსო მუსიკაც შესაფერისი ახლავს და... უნებლიედ გახსენდება ვივალდი“...

დათას ხალასი პოეზია სიკეთით და უპირველესად სიყვარულით არის შთაგონებული.

მისი ლირიკული ლექსები, რომანტიზმისა და თანამედროვეობის ერთგვარი შერწყმაა.

**„მთვარის გარშემო თეთრი ღრუბლები,**
**სხვადასხვა ფერით დაქარგულები,**
**ობლად სცურავენ დაბნეულები –**
**ამ ბნელ ღამეში დაკარგულები.**

**ისევე, როგორც თეთრი ღრუბლები,**
**ჩემი ფიქრებიც, დაფანტულები,**
**უსიყვარულოდ ვერა, ვერ სძლებენ**
**და ობლებივით პატრონს ეძებენ.“**

ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო, როდესაც ბაირონის დათასეულ თარგმანს ვკითხულობდი და ჩემი უსაყვარლესი ლექსის თარგმანს წავაწყდი.

**„ელენს**

**„ო, როგორ მინდა შენი თვალების ცეცხლის ამბორი,**
**თუნდ მილიონჯერ არ მომბეზრდება ნატვრა ამგვარი:**
**რომ ჩაიძირონ ანთებულ ალში ბაგენი მწველი,**
**ამ ამბორისას გავიდოდა ათასი წელი.**

**ან კი რა დაღლის, რა დაქანცავს სულს მოტრფიალეს,**
**ჩუმი ალერსით აგივსებდი ვნებიან თვალებს,**
**და ვერ მოსწყვეტდა ბაგეს ბაგე ვერარა ძალა,**
**ერთურთის ამბორს გავაგრძელებდით კვლავაც და კვლავაც.**
**დაე, არ ჰქონდეს სათვალავი ჩვენეულ ამბორს,**
**ვითარც მარცვლეულს მოსავლისას, ზაფხულის ამ დროს.**
**განშორებაზე ფიქრიც კი არ მსურს, არ მინდა კმარა;**
**განა კი შევძლებ გიღალატო? – არასდროს, არა!“**

დათა აჯიაშვილი შესანიშნავად ფლობს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ებრაულ და თურქულ ენებს. და რაც მთავარია უბრალოდ კი არ ლაპარაკობს ამ ენებზე, ლექსებსაც წერს.

მისი ნიჭის დიდი პოტენციალი გამოვლინდა ლექსში, რომელსაც დათამ იუმორით „აბდა – უბდა“ უწოდა.

**„ჩემად“ მიგიჩნიე... მართლა მოგეჩვიე...**
**თუმცა ვერ მოგწვდები, „მანდ“ მე ვერ „ამოვალ“...**
**Мечты все рассеяны... и мысли нечеткие**
**Все это время я так тебя баловал...**

**არ დაგნანებია შენ ჩემთვის არც ერთხელ**
**სიტყვები გამთბარი, უბრალო, სადა. . .**
**Но все те слова, уже вроде-бы ветхие**
**Сказаны были чувством и взглядом...**

**უშენოდ ტკივილი არ მაძლევს გასაქანს. . .**
**და ვვედრებ შემოქმედს კრძალვით და თრთოლვით. . .**
**И Всевишным ты послана мне как спасение**
**Как избавленье тягостной боли...**

ისტორიული სამშობლოს, ისრაელის მიმართ მისი უდიდესი სიყვარული და მოწიწება სრულადაა გადმოცემული ლექსებში „გოდების კედელი“, „ისრაელს“, „ჩემი სამშობლო“, „თელ ავივი“, „იერუსალიმი“ და მრავალი სხვა.

ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ჰიმნისთვის, დათა აჯიაშვილის მიერ წარდგენილმა პოეტურმა ტექსტმა, დიდი მოწონება დაიმსახურა და ათობით წარმოდგენილ ვარიანტს შორის, ერთ-ერთ გამორჩეულ და წარმატებულ ნიმუშად იქნა მიჩნეული.

კიდევ ბევრი რამის დაწერა შეიძლებოდა დათა აჯიაშვილზე, მის შემოქმედებაზე, იმ ღრმა პოეტურ განცდაზე, რომლითაც გამოირჩევა მისი პოეზია, მაგრამ ყველაზე უკეთ სათქმელს მაინც მისი ლექსები ამბობენ.

ამ წერილს კი დავამთავრებ დათას ლექსით, რომელიც სიცოცხლის, სიყვარულისა და ბედნიერი მომავლის რწმენის ჰიმნად შეიძლება ჩავთვალოთ:

**ვინ არის, ვისაც არ ჰყვარებია,**
**და სიყვარულით არ უმღერია?!**
**და მაინც, ტრფობით, თუნდაც გატანჯულს**
**უთქვამს – ცხოვრება მშვენიერია!**

**ვინ არის, ვისაც ლამაზი ქალის**
**სადღეგრძელო არ დაულევია?!**
**და აღტაცებით გულში არ უთქვამს –**
**ცხოვრება მართლაც მშვენიერია!**

**ვინ არის, ვისაც ჩამავალ მზისთვის**
**თვალმოუწყვეტლივ არ უმზერია?!**
**და მის შემყურეს არ წარმოუთქვამს**
**ნახეთ ცხოვრება მშვენიერია!**

**არის კი, ვინმე, ვისაც სიცოცხლის**
**სასწაულისთვის არ უცქერია?!**
**და გრძნობით სავსეს არ უყვირია**
**ხალხო, ცხოვრება მშვენიერია!**

**ვინც არ მისტირის აწ უკვე წარსულს,**
**მომავლის რწმენით ბედნიერია,**
**იმედით ცოცხლობს, სუნთქავს და ხარობს,**
**იცის – ცხოვრება მშვენიერია!**

**ვინ იცის, ნეტავ, ვის რა ბედი აქვს,**
**ან იღბალს ჩვენთვის რა უწერია?!**
**მადლობა ვუთხრათ უფალს, რამეთუ**
**ცხოვრება მართლა მშვენიერია!**

**გია გაბრიჭიძე**

განბაჟება

# რა გეზი უჭირავთ სახელმწიფო გეზ-ებს?

**მთავრობის ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელზეც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ჯერ კიდევ შარშან ალაპარაკდნენ, დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრით, რაიმე განსაკუთრებულ ელემენტებს ნაკლებად შეიცავს. ეკონომიკური პოლიტიკის ახალი კურსის გამოცხადების საბაბი, როგორც ჩანს, უფრო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივებას, ასევე ინფრასტრუქტურის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობას გულისხმობს. ამ უკანასკნელში კი აუცილებლად ლილოში ახალი გაფორმების ეკონომიკური ზონაც (გეზ-ი) იგულისხმება.**

ლილოს გეზ-ი საქართველოში გამორჩეული, უზარმაზარი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობილი, 12 ჰექტარზე გადაჭიმული ტერმინალია. აქ საგანგებოდ მოწყობილ 400 სატვირთო ავტომანქანაზე გათვლილ სადგომზე, 24-საათიან რეჟიმში ემსახურებიან ფაქტობრივად ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანილ ნებისმიერი ოდენობის ტვირთს.

იმპორტიორებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კომფორტი კი ის არის, რომ ტვირთის გაფორმებისას მათ აღარ სჭირდებათ ძვირადღირებული ბროკერის დაქირავება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლილოს მსგავსი გაფორმების ეკონომიკური ზონა გაზაფხულიდან სოფელ ადლიაშიც ამოქმედდა, რომლის კეთილმოწყობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 670 ათასზე მეტი ლარით დაფინანსდა, რა თანხაც ახალი ტერმინალისა და მისასვლელი გზის სამშენებლო სამუშაოებს მოხმარდა.

ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ასე ვთქვათ, „სახელმწიფოს პატრონაჟით“ გაფორმების ეკონომიკური ზონების ამოქმედება, რომლებიც საბაჟო ტერმინალების ფუნქციას ასრულებენ, იმპორტიორთათვის მეტად ხელსაყრელია თუნდაც იმ მარტივი მიზეზით, რომ **იქ გაფორმებულ საბაჟო დეკლარაციაში იგი შეცდომების დაშვებისგან დაზღვეულია, რადგან ამ საბუთს თავად შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები ავსებენ.** ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობაა, რომელიც გეზ-ებს კერძო ტერმინალებთან შედარებით ანიჭებს. ეს კი, ჩვენი აზრით, ამ სახეობის ბაზარზე კიდევ ერთი მონოპოლისტის, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს დამკვიდრებას უწყობს ხელს. და ამის ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში ჭეშმარიტად ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არარსებობა და მისი შექმნის აუცილებლობის სრული უგულებელყოფაა მთავრობის მხრიდან.

ახლადშექმნილ გაფორმების ეკონომიკურ ზონებში პროდუქციის იმპორტიორი მისთვის საჭირო მთელ ინფორმაციას „ერთი ფანჯრის“ პრინციპით იღებს, რაც დიდ დროს ზოგავს, რომელიც სხვა პროცედურებისთვის, ვთქვათ, ექსპერტის ან ტექნიკურ მომსახურებას სჭირდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გეზ-ში ტვირთის გაფორმების საფასურის გადახდა ხუთდღიანი ვადის ფარგლებშია შესაძლებელი, რაც, კერძო ტერმინალებთან შედარებით, სახელმწიფო ეკონომიკური გაფორმების ზონებს კიდევ ერთ უპირატესობას და კლიენტების გადაბირების საუკეთესო საშუალებას აძლევს.

მიუხედავად ამისა, იმპორტიორთა საკმაოდ დიდი ჯგუფი ძველებურად „გაკვალულ გზას“ ამჯობინებს და კვლავაც კერძო ტერმინალების მომსახურებას ამჯობინებს. ესენი, მეტწილად, ის იმპორტიორები არიან, ვის მიერ შემოზიდული პროდუქცია ნაწილ-ნაწილ მოდის და, ამდენად, მათთვის მისი მთლიანად დაგროვების დალოდება და შემდგომ ერთიანად განბაჟება უფრო მეტად ახელსაყრელი. იმის გათვალისწინებით, რომ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საბაჟო ტერმინალებში იმპორტირებული ტვირთის გაფორმებას ერთნაირი იურიდიული ძალა აქვს, იმას, თუ სად განაბაჟებს საქონელს შემომზიდავი, მნიშვნელობა მხოლოდ მისთვის აქვს და მისივე ასარჩევია. მაგრამ, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, ჩვენს ყურადღებას სარფიან ბიზნესში კიდევ ერთი მონოპოლისტის ჩამოყალიბების პროცესი იწვევს. საქმე ის არის, რომ თუმცა სახელმწიფო გეზ-ები არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ამოქმედდა, ამ დროსაც უკვე საკმაოდ ნათლად გამოჩნდა, რომ ამ სახეობის კერძო ბიზნესი სულ უფრო ინტენსიურად თმობს პოზიციებს. კერძო ტერმინალები თანდათანობით კარგავენ ძველსა თუ ახალ კლიენტურას, რაც ზოგის დახურვით, ზოგის კი „ახროტინებით“ მთავრდება. ფაქტობრივად ისე ხდება, რომ კერძო ბიზნესს, ოფიციალურად, სახელმწიფო სტრუქტურა, ამ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ანაცვლებს, რომელსაც, კანონმდებლობის შესაბამისად, ამის უფლება აქვს, რადგან საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

**მოკლედ, ამით იმის თქმა გვინდა, რომ, მართალია, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება ფინანსთა სამინისტროს, მით უმეტეს მისი ისეთი ქვედანაყოფის, როგორიც შემოსავლების სამსახურია, პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ სახელმწიფო ძალის გამოყენებით კერძო ბიზნესის „ბეჭებზე დადებაზე“ თუ წავიდა საქმე, მარტო საბაჟო გაფორმება კი არა, ყველა დანარჩენიც „ზურგზე გაგორდება“ და ხელ-ფეხს ზეცისკენ აიშვერს.**

**ოთარ ტურაბელიძე**

**ინფორმაცია თემაში**

*გაფორმების ეკონომიკურ ზონებში ფინანსთა სამინისტრომ შემდეგი ტარიფები დაადგინა: 3 ათას ლარამდე ღირებულების ტვირთის განბაჟება 150 ლარი ღირს; 3-დან 15 ათას ლარამდე – 200 ლარი, ხოლო 15 ათას ლარს ზემოთ – 250 ლარი.*



ჭადრაკი

# ქალებს აჯობა



ბულგარულ ალბენაში გამართულ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზა ქართველმა დიდოსტატმა ნაზი პაიკიძემ, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა და ქალებში პირველი ადგილი დაიკავა, თან 800 ევრო დაიმსახურა. მეორე-მესამე ადგილებზე კლაუდია კულონი (პოლონეთიძ და მარგარიტა ვოისკა (ბულგარეთიძ გავიდნენ.

ტურნირის მთავარი პრიზი – 8000 ევრო მასპინძელმა ივან ჩეპარინოვმა მოიპოვა. მან 7,5 ქულას მოუყარა თავი. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილზე მისი თანამემამულე ათანას კოლევი (4000 ევროძ გავიდა. 7,0 ქულით მესამე ადგილი მაქსიმ როდშტეინმა (ისრაელი, 2500 ევროძ დაიკავა.

**ლაშა დიდია**

ჩოგბურთი

# 84-ე საფეხურზე აღზევდა



**ზუსტად ოცი წლის წინათ სახელოვან ქართველ ჩოგბურთელს ლეილა მესხს მსოფლიოს კლასიფიკაციაში მე-12 საფეხური ეკავა. მომდევნო წელს მან ბარსელონის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, საქართველოს კი ქალთა შორის საუკეთესო ასეულში 16 წელიწადია, წარმომადგენელი არ ჰყოლია.** ეს ნავსი 21 წლის ანა ტატიშვილმა გატეხა – ჯერ უიმბლდონის ტურნირის პირველი წრე გადალახა, შემდეგ კი იტალიურ კუნეოში 100-ათასიანი ტურნირი მოიგო, ორი შეჯიბრების ჯამში ერთბაშად 240-მდე ქულა დაიმსახურა და 118-დან 84 ადგილზე აღზევდა. დღეს მას 785 ქულა აქვს და მე-100 ადგილზე მყოფ გერმანელ ანგელიკ კერბერს 100 ქულით უსწრებს.

ანა ტატიშვილი გუშინ შვედეთის ღია პირველობაში ჩაება (220-ათასიანი ტურნირიძ, სადაც პირველ წრეში მერვე ნომრად განთესილ პოლინა ჰერცოგთან დამარცხდა (სლოვენია, კლასიფიკაციაში – 59ძ – 5:7, 3:6. საგულისხმოა, რომ შვედეთის ტურნირში პირველ ნომრადაა განთესილი ქალთა ლიდერი კაროლინ ვოზნიაცკი (დანიაძ.

**ლექსო ცინცაძე**

მხატვრული ტანვარჯიში

# მომავალი მათია

**სხვადასხვა ასაკის 75 მხატვრული ტანმოვარჯიშე მონაწილეობდა თბილისის მერიის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის სპორტის ტანვარჯიშულ სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრის (დირექტორი როზა ბერიკაშვილიძ ღია პირველობაში. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ მრავალჭიდში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:**

**1997-1998 წლებში დაბადებულნი:** 1. გაბი ხვედელიძე, 2. სოფო ფარულავა, 3. თამარ კობალაძე.

**1999 წელს დაბადებულნი:** 1. ნინო ყურაშვილი, 2. ლიკა ჯიბლაძე, 3. თამარ ჯავახიშვილი.

**2000 წელს დაბადებულნი:** 1. ვიქტორია შელია, 2. ანა გელდიაშვილი, 3. ელენე ლომთაძე.

გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.



ფეხბურთი

# მეგოლეებმა გამოიღვიძეს



**კოპა ამერიკის მესამე სათამაშო დღეს წერტილი დაესვა საგოლე გვალვას. ეს „გ" ჯგუფის გუნდების დამსახურებაა, რომლებმაც სასტარტო ტურის მატჩებში ერთბაშად 5 ბურთი გაიტანეს.**

**ურუგვაი – პერუ 1:1**

**გოლები:** სუარესი; გერერო.

აღსანიშნავია, რომ ორივეს ურუგვაელი მწვრთნელი ავარჯიშებს – ოსკარ ტაბარესი და სომხური წარმოშობის სანტიაგო მარკარიანი. სხვათა შორის, ამ უკანასკნელის შეგირდებს წლევანდელი სეზონის 5 ამხანაგურ შეხვედრაში კარი მშრალად ჰქონდათ შენახული და ნავსი შესვენების წინ, კომპენსირებულ დროში გატყდა.

რადგან პერუელთა დაცვის ღირსებული თამაში ვახსენეთ, ნურც მათი ბომბარდირის გერეროს შედეგიანობას დავივიწყებთ, რომელმაც ამჯერადაც ივაჟკაცა და ფავორიტი მდევრის როლში ჩააგდო. როგორც აღმოჩნდა, მცირე ხნით...

**ჩილე – მექსიკა 2:1.**

აცტეკების შთამომავლები ამასწინანდელ „გოლდენ კაპზე" ტრიუმფის შემდეგ ლა-პლატას ნაპირებს ახალგაზრდული შემადგენლობით ეწვივნენ, თუმცა რეჟიმის დარღვევის გამო 8 (!ძ მოთამაშის შეცვლა მოუხდათ.

მიუხედავად ამისა, მათ ღირსეულად იბრძოლეს და მხოლოდ მეორე ტაიმში გატყდნენ.

დღეს ტურნირზე დასვენების დღეა.

**გიორგი შოთაძე**

ფარიკაობა

# მასპინძელთა უპირატესობით

**ბათუმში დამთავრდა მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველებთან ერთად სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი და ირანელი მუშკეტერებიც მონაწილეობდნენ.**



დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **ხმალში** – თამარ პეტემაძე (ბათუმიძ და მიხეილ მარდალეიშვილი (ქუთაისიძ, **რაპირაში** – თეონა გოგლიძე და ლუდვიგ ღალანიძე (ორივე – თბილისიძ, **დაშნაში** – ემა პოლოსოვა (სომხეთიძ და ირაკლი ამბროლაძე (ქუთაისიძ.

13-20 ივლისს ქართველი მოხმალავენი – მიხეილ მარდალეიშვილი, ბექა და სანდრო ბაზაძეები, თათია აფციაური შეფილდში (ინგლისიძ ევროპის ჩემპიონატზე მოსინჯავენ ძალებს.

ინტერნეტიდან

## რევაზ არველაძე — უეფაში



**ევროპული ფეხბურთის შტაბმა – უეფამ – გამოაქვეყნა თავისი კომიტეტებისა და კომისიების შემადგენლობა, რომლებიც იმუშავებენ წლევანდელი 1 ივლისიდან 2013 წლის 30 ივნისამდე.** საკონტროლო-სადისციპლინო და საააპელაციო კომიტეტები – 2015 წლის 30 ივნისამდე. სხვებთან ერთად ფეხბურთის კომიტეტში იმუშავებს საქართველოს წარმომადგენელი რევაზ არველაძეც.

სხვათა შორის, მსაჯთა კომიტეტში შეყვანილია ცნობილი იტალიელი მსაჯი პიერ-ლუიჯი კოლინაც.

## ფესვები შორს გაიდგეს

**ავადსახსენებელი დაავადების – კიბოს მეტასტაზებივით მოედო საფეხბურთო სამყაროს მოლაპარაკებითი თუ გაყიდული მატჩების სენი, რასაც თავგამოდებით ებრძვის ფიფაც და უეფაც.**



ცნობილი გახდა, რომ სტამბულის უშიშროების სამმართველოს მუშაკებმა ამ დღეებში სპეცოპერაციის ჩარჩოებში დააპატიმრეს ფეხბურთის ეროვნულ ლიგაში მოლაპარაკებული მატჩების ორგანიზაციაში მონაწილეობისთვის „ფენერბახჩეს" პრეზიდენტი აზიზ იილდირი. მას შესაძლო წაუყენონ ბრალდება შეიარაღებული დაჯგუფების შექმნასა და ხელმძღვანელობაზეც.

სულ დაპატიმრებულია 49 კაცი, რომლებიც შედიოდნენ კლუბების „ფენერბახჩეს", „ტრაპზონსპორის" მმართველობაში, აგრეთვე მენეჯერები და მოთამაშეებიც.

პოლიციას მიაჩნია, რომ გამოძიების დროს ალბათ გაიზრდება მოლაპარაკებული მატჩების ორგანიზატორთა წრე.

თურქეთში მომხდარი ამბები თავისებური გამოხმაურებაა კორეასა და საბერძნეთში მომხდარი ფაქტებისა.

კორეაში ერთბაშად უმაღლესი დივიზიონის კლუბების ცხრა ფეხბურთელს სამუდამოდ აუკრძალეს ფეხბურთის თამაში. ყოველ მათგანს ბრალდება ფულის აღება ბუკმეკერებისგან, რადგან უზრუნველყოფდნენ მატჩების საჭირო შედეგებს. ამასთან უკვე ყოფილ ფეხბურთელებს ელით 7-წლიანი პატიმრობაც.

K-ლიგის ხელმძღვანელობამ მოუწოდა ფეხბურთელებს – ეღიარებინათ, თუ ასეთ სამარცხვინო საქმეში იყვნენ გახვეულნი. აკი გამოეხმაურა კიდეც კლუბ „ჩონბუკ მოტორსის" 27 წლის მეკარე, ზოგჯერ ეროვნულ ნაკრებშიც რომ იწვევდნენ.

საბერძნეთში კი დააპატიმრეს „ოლიმპიაკოსის" და „კავალის" პრეზიდენტები ახილეას ბეოსი და სტავროს ფსომიდიასი, აგრეთვე მეორე დივიზიონის კლუბების „ილიუპოლისა" და „ეთნიკოსის" ხელმძღვანელები გეორგიოს ცაკოიანისი და ნიკოსა პანტელისი, ყოფილი ფეხბურთელი დიმიტრის ზავანდიასი, აგრეთვე ორი ბუკმეკერი და აგენტი. სულ ეჭვმიტანილია 70 ადამიანი, საეჭვო გახდა 50-ზე მეტი მატჩის შედეგები.

როგორც იტყობინებიან, თურქეთში მიმდინარე გამოძიების შემდეგ, ბევრი ეჭვმიტანილი გირაოს გადახდის გამო პატიმრობიდან გაათავისუფლეს. მათ შორის იყო „ფენერბახჩეს" პრეზიდენტი აზიზ იილდისი.

## საბანაო კოსტიუმების დედოფალი

**სახელგანთქმული რუსი მოდელი ირინა შაიხლისლამოვა, უფრო მეტად ცნობილი რომაა როგორც ირინა შეიკი, ფირმის Bruno Banani საბანაო კოსტიუმების ახალი კოლექციის დედოფალი გახდა.**

ესპანური „რეალისა" და პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველის კრიშტიანუ როლანდუს დაქალი პალმების ფონზე რეკლამას უწევს მრავალფეროვანი, ნათელი სურათებითა და მსხვილი გეომეტრიული ფიგურებით აჭრელებულ საბანაო კოსტიუმებს. ის ამავე დროს დამშვენებულია მასიური სამაჯურებით და დიდი საყურეებით.



ლამაზმანი იმავე დროს ისვენებს საყვარელ ადამიანთან. ისინი ამ დღეებში ნახეს პორტუგალიაში, რონალდუს სამშობლოში, ალგარვეს პლაჟზე. უამრავი პაპარაცის თვალწინ და მათ გასახარად ისინი ერთმანეთს ეხუტებოდნენ. როგორც ამბობენ, ქორწილი ცხრა მთას იქით როდია.

ინფორმაცია

# ნაკრები გაიაფდა

**გერმანული სააგენტო „ტრანსფერმარკეტი" სხვებისგან იმით გამოირჩევა, რომ ყოველთვიურად ფეხბურთში სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ნაკრების ღირებულებას ადგენს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით.** მისი მონაცემებით წლეულს მაისში, აპრილთან შედარებით, ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობის ღირებულება რამდენადმე შემცირდა. თუ აპრილში ნაკრების მოთამაშეთა მთლიანი ღირებულება 21,8 მილიონი ევრო იყო, მაისში ის 20,95 მილიონ ევრომდე „გაიაფდა".

◉ მუსიკალური ფესტივალი

# ნიჭიერი თაობა გამოვლინდა

**საქართველოს რკინიგზისა და კულტურის სახლში თბილისის მერიის ხელშეწყობით გაიმართა მუსიკალური ფესტივალი. იგი წელიწადში ერთხელ ტარდება.**

ორგანიზატორების განცხადებით, წინა წელთან შედარებით სამჯერ გაიზარდა მაყურებელთა რიცხვი. ფესტივალის მიზანია ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენა და პროფესიონალებად ჩამოყალიბება. კონცერტზე მოწვეული იყვნენ ნიკა სეფისკვერაძე და შოთა მალლაკელიძე. გაიმარჯვეს გურამ მახარაძემ (სილოფონი, ხელოვნების სკოლა №20ძ, დავით ჩხიკვაძემ (დასარტყმელი ინსტრუმენტი, ხელოვნების სკოლა №20ძ, გიორგი ნადარეიშვილმა (სიმებიანი საკრავები, ხელოვნების სკოლა №54ძ...

გავესაუბრეთ მეორე ადგილის მფლობელს ლიკა ბახტაძის (ვიოლინო, ხელოვნების სკოლა №10ძ პედაგოგს გალინა ბანდურას, მევიოლინეძ. იგი კმაყოფილია ნიჭიერი ახალგაზრდებით, თავისი მოწაფეების გამოსვლით.

ქალბატონი გალინა მომავალში მასშტაბური სოლო კონცერტების გამართვას აპირებს.

**თამარ ბარისაშვილი**

◉ სენაკი

# ხსოვნის საღამო

**სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა ხსოვნის საღამო, რომელიც მიეძღვნა სენაკელი თანამემამულეების მოგონებას. საღამოს, რომელიც საზოგადოება „სენაკელის“ ინიციატივით გაიმართა, უძღვებოდნენ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე რეზო ჯანჯღავა და საზოგადოების გამგეობის წევრი დამირ კუჭავა.**

ეკრანზე თანმიმდევრულად ცოცხლდებოდნენ სენაკელთათვის ძვირფასი და დაუვიწყარი სახეები იმ ადამიანებისა, რომელთაც თავიანთი ცხოვრებით, ღვაწლით, შინაარსიანი ყოფით, სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი სენაკის ისტორიაში.

იყო თბილი საუბარი მათ ცხოვრებასა და საქმიანობაზე და ჩვენს ვალზე, გავიხსენოთ ისინი, განვაგრძოთ მათი წილი – სიკეთის კეთება და სითბოს გაცემა.

**გადაწყდა: ამიერიდან ყოველწლიურად ჩატარდეს ეს ლამაზი და მნიშვნელოვანი ღონისძიება.**

**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ“ საკ. კორ.**

◉ ეს საინტერესოა!

# როდის იღუპება ყოველი დემოკრატია?

**1887 წელს ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, შოტლანდიის ისტორიის სპეციალისტმა ალექსანდრ ტაილერმა ათენის რესპუბლიკის (რომელიც 2000 წლის წინათ დაეცაძ შესახებ თქვა:** „დემოკრატია ბუნებით, ყოველთვის დროებითია, არ შეუძლია იარსებოს როგორც ხელისუფლების (მთავრობისძ მუდმივმა ფორმამ. დემოკრატია არსებობს მანამ, სანამ ამომრჩეველი (ამომრჩეველთა ნაწილიძ იღებენ გულუხვ საჩუქრებს ხაზინიდან. ამ დროიდან მოყოლებული, უმრავლესობა ყოველთვის აძლევს ხმას იმ კანდიდატებს, რომლებიც ამომრჩევლებს პირდებიან ყველაზე დიდ შემოსავალს სახალხო ხაზინიდან. ფისკალური პოლიტიკის შედეგად ყოველი დემოკრატია იღუპება, რასაც ყოველთვის მოყვება დიქტატორული მმართველობა.

ისტორიის დასაბამიდან მსოფლიოს უდიდესი ცივილიზაციების ასაკი ყოველთვის იყო დაახლოებით 200 წელი. ეს ეპოქები შემდეგი თანამიმდევრობით პროგრესირებდნენ:

მონობიდან – სულიერ რწმენამდე;
სულიერი რწმენიდან– დიდ სიმამაცემდე;
სიმამაციდან – თავისუფლებამდე;
თავისუფლებიდან – სიმდიდრემდე;
სიმდიდრიდან – თვითკმაყოფილებამდე;
თვითკმაყოფილებიდან – აპათიამდე;
აპათიიდან – დაქვემდებარებამდე;
დაქვემდებარებიდან – უკან მონობაში.

### ეს ასევე საინტერესოა!

**პროფ. ჯოზეფ ოლსონი ჰემლინის უნივერსიტეტიდან (იურიდიული ფაკულტეტი, St. Paul, მინესოტაძ ასახელებს რამდენიმე საინტერესო ფაქტს ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით:**

**შტატების რაოდენობა, სადაც გაიმარჯვა: ობამამ – 19, მაკკეინმა – 29.**

კვადრატ. მილი ტერიტორიისა, სადაც გაიმარჯვა: ობამამ – 580.000, მაკკეინმა – 2.427.000, მოსახლეობა შტატებისა, სადაც გაიმარჯვა: ობამამ – 127 მლნ., მაკკეინმა – 143 მლნ. მკვლელობათა რაოდენობა თითოეულ 100.000 მცხოვრებზე, სადაც გაიმარჯვა: ობამამ 13,2, მაკკეინმა – 2,1.

პროფ. ოლსონი დასძენს: „ჯამში, ტერიტორიის რუკა, სადაც მაკკეინმა გაიმარჯვა, უმეტესად მოიცავს მიწას, რომელიც ეკუთვნის გადასახადის გადამხდელ მოქალაქეებს. ობამას ტერიტორია მოიცავს მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ დაბალი შემოსავალი ან მთავრობის ხარჯზე ცხოვრობენ.

ოლსონს სჯერა, რომ აშშ ახლა არის „თვითკმაყოფილების და აპათიის ფაზაში“ (ტაილერის დეფინიციის მიხედვითძ; მათგან 40 პროცენტმა მიაღწია მთავრობაზე დამოკიდებულ (დაქვემდებარე-




ბულძ ფაზას. თუ კონგრესი ამნისტიით და მოქალაქეობით დაასაჩუქრებს 20 მლნ. კრიმინალს, რომლებსაც არალეგალებს უწოდებენ – და ისინი არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას – მაშინ უკვე უნდა დავემშვიდობოთ აშშ-ს 5 წელიწადზე ადრე.

ეს ნამდვილად შემაშფოთებელია! რა თქმა უნდა, ჩვენ არა ვართ დემოკრატია, ჩვენ ვართ კონსტიტუციური რესპუბლიკა. ვილაცამ ამაზე უნდა მიუთითოს ობამას. რა თქმა უნდა, ვიცით, რომ იგი და ასევე ბევრი სხვაც მცირე ყურადღებას აქცევენ კონსტიტუციას.

ყველაზე დიდი საფრთხე 2012 წლის ნოემბერში გველის.

მოგვაწოდა
**ანი მდივანი-მოროუმ**
**სანდიეგოდან (აშშ).**

ხსოვნა გულისა

# ზურაც წავიდა!..



**თანდათან ახლოვდებოდა ეს დღე – ორი-სამი წელიწადია უცებ შემოგვაბერდა, შემოგვადნა ხელში ეს მთასავით კაცი...**

**...და წავიდა ზურაბ ქაფიანიძეც – ჭეშმარიტად სახალხო არტისტი, ხალხის უსაყვარლესი მსახიობი, როგორც იტყვიან, ნაღდი ქართველი – გულით, სულით, გარდასულ დღეებზე ფიქრით, იმის მტკიცებით, თუ რაიმე შეუქმნია კაცობრიობას ღირებული და სასიქადულო, შუმერებიდან დაწყებული თურმე ოდენ ქართული წარმომავლობისა რომ იყო... რომ საქართველო იყო სათავე ყველა სასწაულისა – ენისა, ანბანისა, ტრადიციებისა, რომელიც, მართლაც ასე აკვირვებდა და აკვირვებს დღევანდელ მსოფლიოს... მისთვის საქართველოთი იწყებოდა და საქართველოთი მთავრდებოდა ყველაფერი... ასე სწამდა და ამ რწმენით დახუჭა თვალი დიდმა მამულიშვილმა, ხოლო ზურაბ ქაფიანიძის ეკრანული სახეები (თეატრით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ცნობილი კინომსახიობი გახდაძ არასდროს დაკნინდება, სულ გაჰყვება წლებს და თაობებს დაანახვებს ქართველი კაცის გულღია, ლაღ, ვაჟკაცურ ხასიათს.**

**წავიდა ზურა 74 წლისა – გულმოკლული თავისი საყვარელი სამშობლოს უბედურებით, ყოველდღიური ყოფის სიავითა და შეუბრალებლობით...**

**...ნეტა იმ დროს: მის პირველ ეკრანულ სახეს – მიხას – მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში, „ახკომში“ გამოვეხმაურე, „გადაბმული“ ძმაკაცები გავხდით... გამოვდიოდით ხოლმე რესტორნიდან, ზურას ყველა მაგიდა თავისთან ეპატიჟებოდა, ყველას უნდოდა ამ გულღია, როხროხა კაცთან სასმისი აეწია. ზურაც არავის აწბილებდა... იგი ქართული მოდგმისა იყო... რაჭის მთებიდან მოდიოდა, ნაკიეთში ედო სათავე და ამით ძალიანაც ამაყობდა... „უნდა წავიდეთ, მარდალი, გაგაცნობ ჩვენებურებს“... ორჯერ ავედით კიდეც თავის სათაყვანო მამასთან – ბატონ ვასილთან ავწიეთ ჭიქა... ვიმღერეთ: „ალუდას თოფი რად უნდა, ატირდა როგორც ქალიო“... ბედნიერები ვიყავით...**

**წავიდა ჩვენი „შუმერი“...**

**ღმერთმა გაგანათლოს, ზურა!..**

შენი „მარდალი“ –
**ვილენ მარდალეიშვილი**

**საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი**
**ზურაბ ქაფიანიძე**
**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ძველი პოლიგრაფისტი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, დიდი ოჯახის მამა და ბაბუა, უიშვიათესი პიროვნება და მეგობარი**
**ვლადიმერ ნესტორის ძე გოგაძე**
**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

**რეზო, ალეკო, მერაბ ფაჩულიები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნოდარ, დავით და გოჩა გორდეზიანებს ძვირფასი მეუღლის და დედის, გამორჩეული საზოგადო მოღვაწის, პროფესორ**
**მერი გოცირიძე-გორდეზიანის**
**გარდაცვალების გამო.**

ნომრის კარიკატურა



– ნუ დამელოდებით, გვიან მოვალ.
– დარწმუნებული ვიყო, საყვარელო?

ამირან ერაძის ნახატი.

◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: თუ შეიძლება აგვიხსენით, რა ფორმითა და ვადით იდება შრომის ხელშეკრულება?**

**ანა მჭედლიძე**

**პასუხი:** შრომის ხელშეკრულება იდება როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით: განუსაზღვრელი, განსაზღვრული და გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით.

**კითხვა: დღეს მოქმედი კანონის მიხედვით, რომელი წლიდან (რა ასაკიდან) წარმოიშობა ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა?**

**მარეხ ბოჭორიშვილი**

**პასუხი:** ფიზიკურ პირს შრომითი ქმედუნარიანობა წარმოეშობა 16 წლის ასაკიდან. 16 წლამდე არასრულწლოვანის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველისა და მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ მუშაობის დაწყება არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის აზრობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებას და შესაძლებლობას.

14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოების შესასრულებლად.

აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან (მათ შორის „კაზინოში“ძ, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკულ და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

არ დაიშვება აგრეთვე, არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

## დაიჯესტი

# გარდამავალი ფერების კუპიურა

**სადღეისოდ მსოფლიოში გაყალბებისგან ყველაზე მეტად დაცული ფულის კუპიურა ახალი ამერიკული ასდოლარიანია, რომლის დიზაინის დამუშავებას, ფედერალური სარეზერვო სისტემის წარმომადგენლის განცხადებით, 10 წელი დასჭირდა.**




ახალი ასდოლარიანი კუპიურა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმოქცევაში წლევანდელი თებერვლიდან შევიდა. ამავე ნომინალის ძველი კუპიურისგან მას 3D ჰოლოგრამა განასხვავებს, რომელზეც სამელნე და ზარებია გამოსახული. ამასთან ახალი ფულის ნიშანი, არსებითად, ძველის დიზაინს იმეორებს: მასზე ასევე პრეზიდენტი ბენჯამენ ფრანკლინია გამოსახული, აქვს წყლის ნიშანი, საგანგებო დამცავ ზოლზე წარწერა „100“ ფერს იცვლის და სხვ. არის ზოგიერთი სიახლეც – ახალი ბანკნოტის ფონი ღია ცისფერია, მასზე 3D ხაზია, წინა მხარეს გამოსახული ციფრი „100“ ღია თაფლისფერიდან მწვანეში გადადის.

ბანკოტზე ასევე გამოსახულია კალამი, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების მამა-დამაარსებელმა ფილადელფიაში დამოუკიდებლობის დეკლარაციას მოაწერეს ხელი და ფრაზა ამ დეკლარაციიდან. პრეზიდენტის საყელოზე კი იკითხება „The United States of America“.

საინტერესოა, რომ წარწერა „100“-ის მოძრავი გამოსახულების შესაქმნელად ქაღალდში დაახლოებით მილიონი მიკროლინზა „ჩასვეს“, რამაც ერთი ბანკნოტის ბეჭდვის ფასი ძველთან შედარებით 3 ცენტით გააძვირა და 14 ცენტი შეადგინა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნომინალის კუპიურები შეერთებულ შტატებში ნაკლებადაა ხმარებაში, უფრო მეტად ყოველდღიურ მიმოქცევაში 5 და 20-დოლარიანი კუპიურებია. სადღეისოდ მსოფლიოში დაახლოებით ტრილიონი დოლარია ბრუნვაში.

# დეპრესიის სიკეთე

**მეცნიერებმა აღმოაჩინეს: დეპრესია, რომელსაც ასე ებრძვიან ექიმები, თურმე ხელს უწყობს წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტას.**

– მიმაჩნია, რომ ისინი, ვინც დეპრესიას სძლია, შემდგომ უფრო ძლიერები გახდნენ, – ამბობს საქველმოქმედო ფსიქიატრიული ორგანიზაციის Sane-ს დირექტორი მარჯორი უოლესი. – დეპრესიამ ბევრს სიცოცხლე შეუნარჩუნა: ერთხელ გულგატეხილი, მაგრამ ამ გასაჭირის მძლეველი ხალხი ხშირად შემდგომ საოცარ სულიერ სიძლიერეს ამჟღავნებს, ფსიქიკაც უფრო მდგრადი უხდება. განსაკუთრებით ეს ქალებში შეიმჩნევა.



მეცნიერებმა პარადოქსულ გარემოებას მიაქციეს ყურადღება: **პათოლოგიური პესიმისტები ცხოვრებისთვის ოპტიმისტებზე უკეთ ადაპტირებული არიან – ისინი ქრონიკული სტრესის გამომწვევ ვითარებებს მუდმივად გაურბიან. გარდა ამისა, სასოწარკვეთისა და აპათიის პერიოდის შემდეგ ისინი ახალ საქმეებს უფრო ენერგიულად იწყებენ და საკუთარ შესაძლებლობებსაც ჯეროვნად აფასებენ.**

დეპრესიის სარგებლიანობის კიდევ ერთი დამადასტურებელი მოწმობა ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჯონაჰ ლერერმა აღმოაჩინა. თავის წიგნში „როგორ ვიღებთ გადაწყვეტილებებს“ იგი წერს, რომ **გულგატეხილობა უძველესი დროიდან შემოგვრჩა და ჩვენთან ერთად ევოლუცია განიცადა როგორც ცხოვრებაში არახელსაყრელ პერიოდში დაცვის მექანიზმმა.** იგი ადამიანში მედგრობასა და თანაგრძნობას ავითარებს და, რაც მთავარია, რთული პრობლემის გადაწყვეტის სწორი გზის გამოძებნის უნარს გვიმუშავებს.

ავადმყოფობას, ტკივილს, წარუმატებლობას, სიღარიბეს, ცხადია, საბოლოოდ სასოწარკვეთის, გულგატეხილობის გრძნობის გამოწვევა შეუძლია. მაგრამ, თურმე, **არსებობს კიდევ ამ მდგომარეობისადმი გენეტიკური მიდრეკილებაც**. ცოტა ხნის წინათ მეცნიერებმა გენი აღმოაჩინეს, რომელშიც... პესიმიზმია კოდირებული! ეს გენი შთამომავლობით გადაიცემა და იქნებ ამიტომ არის, რომ „მელანქოლიის დონე“ სოციალურ გარემოზე ნაკლებადაა დამოკიდებული.

**ირმა ირემაშვილი**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**● ჩინელი ქალები პირში წყალს იგუბებდნენ, რომ ლაპარაკის დროს ბულბულის ხმა გამოეცათ.**

**● დასავლეთის ქვეყნების საქმიან წრეებში შვეიცარიის ბანკების თანამშრომლებს „ჯუჯებს“ უწოდებენ.**

**● ამერიკელი მეტყევეები ბრაკონიერების დასაჭერად მოძრავ ირმის ფიტულებს იყენებენ.**

**● 1360 წლამდე მთელ ევროპაში მიმოქცევაში იყო უნიკალური ოქროს მონეტები, რომლებიც თითქოს ტრანსმუტაციით იყო მიღებული.**

**● შუა საუკუნეების ევროპელები ტალახში სასიარულოდ ფეხსაცმელებზე ხის მაღალ ქოშებს იმაგრებდნენ.**

**● ჩინეთში ახალი წელი თებერვალში დგება. ტრადიციულად, ჩინური კალენდარის მიხედვით 4698 წელი გათენდება, ხოლო 22 მარტს ახალი წელი ინდოეთშიც შეაღებს კარს, მაგრამ იქ 1922 წელი გათენდა. ცოტა მოგვიანებით კი 13 აპრილს, ახალი 2057 წელი დადგება ნეპალში, მუსლიმანები ახალ 1420 წელს 21 ივნისს შეხვდებიან, ებრაელებისთვის კი ჭეშმარიტი ახალი 5761 წელი 15 სექტემბერს დადგება.**

**● ექსპრესიულ იტალიელებს მიაჩნიათ, რომ ახალი წელი ძველი ნივთების გადაყრით უნდა დაიწყოს. ამიტომ ფანჯრებიდან ყრიან ყველაფერ ძველს. თუ შინ ძველმანი არ აღმოაჩნდათ, მეძველმანესთან ყიდულობენ, რომ ყოველწლიური რიტუალი შეასრულონ.**

**● თავშეკავებული ინგლისელები წერენ ვრცელ ბარათებს, რომელშიც ჩამოწერილია რა არ ჰყოფნით სრული ბედნიერებისთვის, მერე მათ წვავენ და ფერფლს ქარს ატანენ, რათა სანუკვარი სურვილი აუსრულდეთ.**

**● დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ მისმა მოსახლეობამ დაიწყო შერევა გერმანელებთან, რასაც მათი გაქრისტიანება მოჰყვა. 761 წელს რომის ეკლესიამ გამოსცა განკარგულება, რომ ყველა ბავშვს მონათვლისას ქრისტიანული სახელი დარქმეოდა. გერმანელები სასტიკად შეეწინააღმდეგნენ ამ ბრძანებას, თუმცა საბოლოოდ მაინც მივიდნენ კომპრომისამდე, რომელიც ცოტაოდენი ცვლილებებით, მაგრამ დღესაც მოქმედებს. ეს კომპრომისი კი ორი სახელის დარქმევაა.**

**● ხელშეკრულებები დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის შუა საუკუნეების ევროპაში პირველ მაისს იდებოდა.**

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6651 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4176 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6790 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9888 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5141 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1163 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0886 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0309 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5764 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +21 – +34 |
| ქუთაისი. | +21 – +31 |
| ბათუმი. | +22 – +29 |
| ზუგდიდი. | +22 – +31 |
| თელავი. | +22 – +32 |

## კადრი



## ანეკდოტები

– ბავშვის მამა დაესწრება მშობიარობას? – ეკითხება გინეკოლოგი ახალგაზრდა დედიკოს.

– არა მგონია.

– რატომ?

– მას ჩემს ქმართან ცუდი ურთიერთობა აქვს.

* * *

– ვაჰ, ჩემი კარგიიი!!! რა სიბანძეა... დაიღუპა ბიჭი... ძმაკაცებმა გაყიდეს... წავალ, მოვწევ მაინც...

– მაგრამ შენ რომ არ ეწევი?!

– ვაი, ჩემი დედა... თურმე არც ვეწევი?!

* * *



– რას ფიქრობ იმაზე, რომ შენი ქმარი სულ ქალებს დასდევს?

– მერე რა, ჩვენი ძაღლიც დასდევს მანქანებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ როცა დაეწევა, ეგრევე საჭეს მიაჯდება.

* * *

ჭიჭიკიას გოგო შეეძინა და ძმაკაცმა ბიჭიკიამ ჰკითხა:

– შენი პაწია გოგო დედამისს ჰგავს?

– არ ვიცი, ჯერ ლაპარაკი არ დაუწყია.

* * *

– ექიმო, ვიცოცხლებ? – ეკითხება პაციენტი.

– თქვენ გაინტერესებთ, არის თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24